745 11229

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის პარასკეობით

№ 13 (69)

3 აპრილი, პარასკევი, 1992 წ.

გაზეთ „საქართველო"-ს რედაქტორს
ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ქ.ვლადიკავკაზიდან თბილისში საცხოვრებლად
გადმოსულ მოქალაქეთა

## განცხადება

მოგეხსენებათ, კონფლიქტის შემდეგ ოსეთში მაცხოვრებელი ქართველები, როგორი დათრგუნულები, მუქარითა და დარბევით, ფიზიკური შეურაცხყოფით შეწუხებული ვიყავით. როგორც იქნა მოგვეცა საშუალება ბინების გაცვლის. უმრავლესობამ საკუთარი სახლი, კარმიდამო უპრეტენზიოდ გავცვალეთ უფრო პატარა ბინებზე. თავს ბედნიერად ვგრძნობდით, რომ საქართველოს მიწაზე გვ...ირსა ცხოვრება და ქართულ...დ ...ჰარ... ...არ ...ვკრძალ...ვდნენ ჩვენ შვილებს. მაგრამ ჩვენი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ბინების გაცვლა მოხდა კანონის დაცვით, ვლადიკავკაზში საბუთებზე ხელისმოწერას გვიჭიანურებენ და ითხოვენ დიდძალ თანხას (თითო ოჯახიდან 10000 მან.) ჩვენ კი თბილისში ამიტომ ჩაუწერლები და უმუშევრები ვართ. ჩვენი შვილებისათვის პურის ფული არა გვაქვს. მაგრა როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, ოსეთში არც ერთი კაცი აღარ დავბრუნდებით, რადგან იქ ჩვენ და ჩვენი შვილების სიცოცხლეს საშიშროება ელის და თუ სიკვდილი გვიწერია, აქ დავიხოცებით.

უმორჩილესად გთხოვთ ნუ დაგვტოვებთ უყურადღებოდ, ნუ გაგვწირავთ ჩვენ ისედაც ტრამვირებულ ბავშვებთან ერთად. განცხადებას ხელს ვაწერთ ოსეთიდან ჩამოსული ქართველები.

ბ. ქენქაძე
ზ. სუხაშვილი
ი. ხულელიძე

სულ 16 ხელმოწერა.

**რედაქციისაგან:** ალნიშნული განცხადება გადაცემული აქვს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ გურამ ფანჯიკიძესაც. განცხადების ავტორებს აღვუთქვამთ, რომ მწერალთა კავშირთან ერთად ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ მათი სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.




## დღეს ნომერში:

შალვა ხიდაშელი
მამულიშვილობა და რენეგატობა ძველ საქართველოში და დღეს
მე-3 გვ.

ქრისტო გახნიაშვილი
სამარაგლო თანადგომასა და შველას ითხოვს
მე-4, მე-6 გვ.

გაიოზ ერაძე
ინტელექტუალური ტერორიზმი
მე-5 გვ.

გოგა ლიკლიკაძე
კვლავ ანტიზვიადიზმზე
მე-6 გვ.

## ბოლო წუთებში

სანამ დასავლეთ საქართველოში ძმათა სისხლი ილვრება, მხოლოდ ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონში ბანდებმა ქართველების 60 სახლი დაწვეს. დაწვეს ტასო ბუზალაძე, 80 წლის მოხუცებული, რომელიც მარტო დარაჯობდა სახლს მაცხოვრებლებისგან მიტოვებულ სოფელ ზემო ოქონაში. ეს ამბავი ჩამოიტანა სახალხო ფრონტის ორმა წევრმა, რომლებიც ნომრის წყობისას დაბრუნდნენ სოფელ ბრეთიდან.

ჩვენი სისხლი და ჩვენი ცოდვა ცას შეჰღაღადებს. ცას შეჰღაღადებს ჩვენი უპასუხისმგებლობაც საქართველოს ისტორიის წინაშე, რომელიც უკვე 14 თვეა უმოქმედოდ შეჰყურებს ჩვენი მიწა-წყლის ქართველთაგან დაცლას.

ჰყავს თუ არ ჰყავს საქართველოს ხელისუფლება? ჰყავს თუ არ ჰყავს მწყემსი გზააბნეულ ფარად ქცეულ ქართველ ერს?

## შეკითხვა ბატონ მინისტრს

დღეს თბილისში პრესკონფერენცია აქვს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ კოზირევს. იგი იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრძანდება, რომლისგანაც საქართველო თავისუფლდება. ამგვარად, შეუძლებელია, რუსეთს საქართველოს დამოუკიდებლობა დღემდე ვერ შეემჩნიოს. საინტერესოა, რა მოტივი შეიძლება მოიყვანოს ბატონმა მინისტრმა იმის ასახსნელად, რომ რუსეთს დღემდე არ უცვნია საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც გამოცხადდა 1991 წლის 9 აპრილს.

# ჩემი პასუხი

20 მარტს, გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე დაიბეჭდა ინტერვიუ სათაურით: „სამშობლოში ცხოვრებას არაფერი სჯობია".

უპირველესად, კმაყოფილება მინდა გამოვხატო იმის გამო, რომ აღნიშნულ ინტერვიუზე რედაქციის, თუ რედაქტორის მინაწერში გამოთქმულია საყვედური მხოლოდ ბოლო კითხვაზე ჩემს მიერ გაცემულ პასუხთან დაკავშირებით. შევეცდები, ჩემს დაბნეულ თანამემამულეს ავუხსნა მისი დაბნეულობის არსი და გამოვიყვანო ამ მდგომარეობიდან, თუ მართლა დაბნევით მოუვიდა, და არა შეგნებულად, სხვათა დასაბნევად, მკითხველის შეცდომაში შეყვანის მიზნით.

შეურაცხყოფით გაჟღენთილ თერთმეტ სტრიქონს პასუხის ღირსად არც ჩავაგდებდი, არსებული მინაწერის შინაარსი მხოლოდ მე რომ მეხებოდეს. ასეთ უმართებულო შეურაცხყოფას უკვე მიჩვეული ვარ; ჯერ საბჭოთა ხელისუფლების დროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ საბჭოთა წყობის ძირის გამოთხრის და შესუსტების მცდელობის, ანტი-საბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდისათვის (საქ.სსრ.სსკ-ის 71 მუხლი) გასამართლებით გამოიხატა. შემდეგ ბ-ნ ზვიად გამსახურდიას დროს, შეურაცხმყოფელი „იარლიკის" მოწებებით, რაც ამავე ინტერვიუს ერთ-ერთ კითხვაშიც არის აღნიშნული: „საქართველოში „სუკ-ის აგენტთა" სიის შევსება თქვენით დაიწყო"-ო.

ძვირფასო მკითხველო, შეგახსენებ ინტერვიუს ბოლო კითხვას თავისივე პასუხით:

**კითხვა: ბატონო ზაქარია, სამუდამოდ აპირებთ ემიგრანტის ბედის გაზიარებას, თუ საქართველოში დაბრუნდებით საცხოვრებლად?**

პასუხი: იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აღიდგენს დამოუკიდებლობის სტატუსს, იურიდიულად და ფაქტიურად გახდება სუვერენული ქვეყანა, რა თქმა უნდა, სამშობლოში ჯობია ცხოვრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთში გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას, ბრძოლას ჩემი ქვეყნის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის. ასე რომ, ჩემი ჩამოსვლის მიზანიც ორმხრივია: პოლიტიკური და დაზვერვითი.

რედაქციის სახელით „ინკოგნიტო" ავტორის მინაწერის ტექსტი შემდეგია: **ბატონ ზაქარია ლაშქარაშვილის ინტერვიუს ფინალმა ცოტა არ იყოს დაგვაბნია. „შინაურულად" რომ მოვთარგმნოთ, იგი გვპირდება, თუ გაშლილ სუფრას დამახვედრებთ, საფრანგეთიდან ჩამოვალ და იმ სუფრას შემოვუჯდები, თუ არა და საფრანგეთში გავაგრძელებ ჩემს საქმიანობასო...**

**რბილად თუ ვიტყვით, უცნაურია ასეთი განაცხადი. მით უფრო ინტერვიუს შესანიშნავი სათაურის შემდეგ".**

მინაწერის ავტორი იმდენად ჩანს „დაბნეული", რომ ინტერვიუში ჩემს გამოთქმულ პასუხს „დაპირებად" ნათლავს. საინტერესოა სად ამოიკითხა სიტყვა „დაპირება", გაცილებით დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ თურმე „გაშლილ სუფრაზე" ვაპირებ ჩამოსვლას. ჯობდა დაეკონკრეტებინა რომელ „გაშლილ სუფრაზე"-ა ლაპარაკი.

მინაწერის ავტორი ბრჭყალებში აღნიშნავს „შინაურულად" რომ „მოვთარგმნოთ"-ო. ახლო წარსულში ხომ საბჭოთა ხელისუფლების დამცველი უშიშროების კომიტეტი სწორედ „შინაურულად თარგმნიდა" ხოლმე, და მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავდა.

ახლა რაც შეეხება ემიგრაციას საერთოდ, და ქართულ ემიგრაციას კერძოდ. ვშიშობ, ზოგი ისეთი რამის თქმა დამჭირდება, რაც უჩემოდაც იცის საქმეში ჩახედულმა მკითხველმა, მაგრამ მაინც იძულებული ვარ ვთქვა, რადგან მინაწერიდან ჩანს, რომ ამის ავტორს არ აქვს გაცნობიერებული ბევრი რამ ამ საკითხის შესახებ. მას ემიგრაციაში წასვლა ბრძოლისათვის თავის არიდებად და დალხინებული ცხოვრების მოპოვების სურვილი ჰგონია.

მინაწერის ავტორმა, როგორც ჩანს, არ იცის რა განუზომელ როლს ასრულებდა და ახლაც ასრულებს რუსული, სომხური, უკრაინული, ბალტიისპირული ემიგრაცია, რომ არაფერი ვთქვათ ებრაელებზე. მათი როლი ჯერ არავის დაუკნინებია, თუ არა პირიქით. ასეთი რამ, ალბათ, ისევ ჩვენს უბედურ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს.

ქართული ემიგრაცია, თავისი მცირერიცხოვნების გამო, ცხადია, ისე დიდი მასშტაბის ეროვნულ საქმიანობას ვერ ეწევა, როგორსაც ზემოდასახელებული ხალხებისა. რა თქმა უნდა, მე არ მოვუწოდებ არავის საქართველო დატოვოს და ემიგრაციაში წავიდეს ემიგრაციის საქმიანობის გასაძლიერებლად, მაგრამ, მათი როლის დაკნინება, ვინც დღეს ემიგრაციაშია, დიდი უმადურება და რაც მთავარია, უსამართლობა იქნება, რომ არაფერი ვთქვათ შეურაცხყოფაზე.

მე მინდა ვიფიქრო, რომ მინაწერის ავტორმა უნებურად დაუშვა ეს შეცდომა. ჟურნალისტს, პირველ რიგში, ის უნდა მოეხსენებოდეს, რომ ყოველ სიტყვას დიდი დაკვირვებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდოს, მით უფრო, თუ საქმე გვაქვს კონკრეტულ ადამიანებთან.

მინაწერის ავტორი ბოლოს დასძენს, „რბილად თუ ვიტყვით უცნაურია ასეთი განაცხადი, მით უფრო ინტერვიუს შესანიშნავი სათაურის შემდეგ"-ო. ვფიქრობ ავტორს დაკვირვებით არამც-თუ მთლიანად წერილის შინაარსი ვერ გაუგია, არამედ მისი დასასრულიც. აკი ვამბობ: „თუ საქართველო აღიდგენს დამოუკიდებლობის სტატუსს, იურიდიულად და ფაქტიურად გახდება სუვერენული ქვეყანა, რა თქმა უნდა, სამშობლოში ჯობია ცხოვრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთში გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას, ბრძოლას ჩემი ქვეყნის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისთვის"-მეთქი.

მინაწერის ავტორს, როგორც ეტყობა, დიდი წარმოდგენა არ აქვს „სამშობლოს" მცნებაზე.

სამშობლო, ქართველ ერს მეოცე საუკუნეში 1918-1921 წლებში გვქონდა, ხოლო 1921 წლიდან ჯერჯერობით დღემდე აღარც სამშობლო გაგვაჩნია და აღარც ეროვნება. ყოფილ სსრკ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი დღემდე ოფიციალურად საბჭოთა ეროვნების ხალხად ითვლება და ჩვენი სამშობლოც სსრკ რჩება, მანამ, სანამ საქართველო არ მოიპოვებს ყველა იმ ნიშან-თვისებას, რაც ჭეშმარიტ დამოუკიდებელ სახელმწიფოსათვის არის აუცილებელი.

ბოლოს იმით მინდა დავამთავრო, რომ მინაწერის ავტორი მერაბ კოსტავასაც აყენებს შეურაცხყოფას, მე თავს ავარიდებ ამის შესახებ ახსნას და ვურჩევ მომავალში, სანამ რამეს გადაწყვეტს და დაწერს, კარგად მოიფიქროს.

როგორც ჩემს წერილის დასაწყისში აღვნიშნე, პირად საკითხს არ ვეხები და სხვათა შეურაცხყოფისათვის გაზეთის რედაქციისაგან შესაფერის პასუხს დაველოდები. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებელი სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობა იქნება.

ვიმედოვნებ, რომ სახალხო ფრონტი არ აღმოჩნდება, „რბილად" რომ ითქვას, უხერხულ მდგომარეობაში.

ზაქარია ლაშქარაშვილი

რედაქტორისაგან:

**გაზეთ „საქართველოს" მე-11 ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ბატონ ზაქარია ლაშქარაშვილთან, რომელსაც ახლავს მინაწერი რედაქციისაგან. რაკი ბატონ ზაქარიას შავით თეთრზე [illegible] „რედაქციისაგან" არ აკმაყოფილებს და მინაწერის ავტორი „ინკოგნიტო" ჰგონია, ავუხსნი — საყოველთაოდაა მიღებული, რომ რედაქციის მინაწერს ერთ-ერთი თანამშრომელი ან, ძირითადად, რედაქტორი აკეთებს ხოლმე. სამარჩიელოდ რომ აღარ გავუხადო საქმე, ახლა უკვე პირდაპირ დავწერე — რედაქტორისაგან.**

**ახლა კი საქმე.**

**ბატონო ზაქარია, თქვენი ბიოგრაფიის პატივისცემის გამო იყო, რომ პარიზიდან თბილისში სტუმრად ჩამობრძანებულს, კორესპონდენტი გაახლეთ და პირველებმა გამოვაქვეყნეთ თქვენთან ინტერვიუ. ამასთან, ერთი კითხვის პასუხი არ მოგვეწონა და თქვენდამი პატივისცემასთან ერთად ამ პასუხის გამო უკმაყოფილება გამოვხატეთ. „გაშლილი სუფრა" ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფიგურალური გამოთქმაა და იგი საწყენად თუ თქვენი შეურაცხყოფისათვის არ დაგვიწერია. თუ ასე აღიქვით, ბოდიშს გიხდით. მართალია, მკვახედ გამოვხატეთ, მაგრამ კეთილშობილური გრძნობა გვკარნახობდა. გრძნობა იმისა, რომ სამშობლოში ცხოვრებას მართლაც არაფერი სჯობს და თქვენც იგივე შეგახსენეთ. თან ლაპარაკია დღევანდელ ვითარებაზე და არა იმ დროზე, როცა სამშობლოდან კომუნისტები ძალით გდევნიდნენ.**

**თქვენ კი, როგორც ჩანს, თვლით რომ სამშობლოს სრულ თავისუფლებამდე თქვენი ყოფნა კვლავ პარიზშია უპრიანი, რადგან იქ აპირებთ თავისუფლებისათვის ბრძოლის გაგრძელებას.**

**მე კი მიმაჩნია, რომ საქართველოს ბედი თბილისში წყდება და არა პარიზში. ისე, რაღა თქმა უნდა, თქვენი ნებაა, თუ სად იცხოვრებთ და სად ილვაწებთ, მდიდარ პარიზში თუ ღარიბ თბილისში, სადაც როცა გშია ბატონო ზაქარია, ცივი მჟადიც შაქარია...**

ეს არის და ეს. ამ აზრისათვის, თუნდაც მცდარისათვის, ბრალდებათა კორიანტელს არ უნდა ვიმსახურებდეთ. მით უფრო, იმ ქედმაღლურ ტონს, რომლითაც საპასუხო წერილი მომწერეთ, რასაც ჩვენს მიმართ, იმედია, აღარ გაიმეორებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატრიოტ პიროვნებად კი მიმაჩნიხართ, მაგრამ არც მე უნდა გამოვიყურებოდე ამ მხრივ ჭირშავად და ვერ დაგ[illegible]რინები[illegible]. მით უფრო, პოლემიკის დროს ძალები რომ გავაწონასწოროთ, ხანგრძლივი პუბლიცისტური ვარჯიში მოგიწევთ.

# ღია წერილი ქალბატონ ნაირა გელაშვილს

ქალბატონო ნაირა! მე, სამაჩაბლოელი ერთი გლეხი კაცი ძალიან ამაღელვა თქვენმა ინტერვიუმ, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს" 1992 წლის მეოთხე ნომერში.

შეიძლება ჩემი ცოდნის გამო მთლიანად ვერ გადმოგცეთ ის მწუხარება, რაც თქვენმა ინტერვიუმ გამოიწვია ჩემში და საერთოდ სამაჩაბლოელებში.

სულმნათმა მიხეილ ჯავახიშვილმა წინდაწინ განჭვრიტა „ჯაყოს ხიზნებში" ყოველივე ის, რაც მომავალში უნდა მომხდარიყო. მართლაც ხომ მოხდა?

იცოდეთ, რომ მტრები ცბიერები და ვერაგები გვყავნან. მე, როგორც სამაჩაბლოელმა, ინტერვიუში ძირითადი ყურადღება გავამახვილე ყოფილ სამხრეთ ოსეთის მიმართ თქვენს დამოკიდებულებაზე. თქვენ რომ ღრმად ყოფილიყავით ჩახედული იმ ვითარებაში, რაც ოლქში ხდებოდა ქართველების მიმართ, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შეცვლილი აზრები გექნებოდათ.

თვით ცხინვალი და ქართული სოფლები დაიცალა ახალგაზრდებისაგან, რომლებიც სამუშაოდ გორს, რუსთავსა და თბილისს მიაწყდნენ. თავიანთ ძირძველ ქართულ ქალაქ ცხინვალში მათ სამუშაოს არავინ აძლევდა. ქართულ სოფლებში ოსებმა იმრავლეს და ქართველებმა იკლეს. ზოგან დაიხურა ქართული სკოლა და გაიხსნა ოსური. ცხინვალის მრავალ ორგანიზაციაში ქართველის ნასახს ვერ ნახავდით. თქვენ არ გეგონოთ, რომ ყველა იმ დანაშაულს, რაც ქართველების მიმართ ხდებოდა, მხოლოდ ოსებს ვაბრალებდე. არა, ქალბატონო, საქართველოს მთავრობა მიმხრობი იყო. ოსები კი თავიანთ საუკუნოვან ოცნებას გეგმაზომიერად ახორციელებდნენ, — შექმნან დიდი ოსეთის სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე. ვაი სირცხვილო! ქუთაისში ერთ-ერთ წვეულებაში მოვხვდი ნათესავთან. ქართულად რომ ვლაპარაკობდი უკვირდათ, ოსეთში მცხოვრებმა კაცმა ქართული როგორ იცისო. გამოდის, რომ ქართველებმა არ იციან, ოსეთის ოლქი ჩვენს ტერიტორიაზე რომ არის შექმნილი და ქართველებიც ვცხოვრობთ. თქვენი ცოდნისა და გამოცდილების პატრონს მჯერა, რომ „ჯაყოს ხიზნების" შინაარსი ათასჯერ ჩემზე უკეთესად გეცოდინებათ. აბა გაიხსენეთ, ჯაყომ როგორ მოატყუა გულმართალი თეიმურაზი, — ყაჩაღებმა სკივრი მოგტაცეს ჯაყოსა. როგორ იცრუა როკის ხეობაში თეიმურაზის ნაძვნარის ტყისა და მამულის შესახებ. ჯაყომ ყველაფერი წაართვა თეიმურაზს — გაანადგურა, ის კი გაიძახოდა მოვიცადოთ, მოვიფიქროთ, დავაზუსტოთო. თავის დროზე ამ მოცდამ დაღუპა თეიმურაზი. ასე გვემართება დღეს საქართველოს და განსაკუთრებით სამაჩაბლოელებს. მოცდამ, მოფიქრებამ, დაზუსტებამ და მიმნდობლობამ თავისი მიწა-წყლიდან აყარა სამაჩაბლოელები, რომელსაც ოსები თავიანთ ტერიტორიად აცხადებენ. სამაჩაბლოელებს ერთადერთი გზაღა დაგვრჩენია, ჩამოვალთ ისედაც თავკომბალა თბილისში და გავინაწილებთ იმ „ნამეტ პროდუქტს" რაც თქვენა გაქვთ. ქართულ მიწა-წყალს კი არა მარტო სამაჩაბლოელები, არამედ საქართველო კარგავს. ოსებმა კი იფიქრეს, დააზუსტეს და თავის დროზე ოლქი შეიქმნეს. მას შემდეგ იბრძვიან, არ იცდიან და მიწა-წ[illegible] გვართმევენ.

თქვენ სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობასაც აკრიტიკებთ ოლქის გაუქმების მხარდაჭერისათვის. იცი რას გეტყვით? ბატონ ნოდარ ნათაძესავით ჩექმებჩაცმული ერთხელ მაინც რომ გადასულიყავით მთებზე ახლად გაჭრილი გზით იმ ქართულ სოფლებში, რომლებიც ოსების მიერ ბლოკადაში არიან მოქცეული და ტანჯვა-წამებას განიცდიან, მაშინ ეგებ აზრი შეგეცვალათ ამის შესახებ.

თქვენს ინტერვიუში ბევრს ლაპარაკობთ თანამემამულე ეთნოსების მიმართ. კარგად მოგეხსენებათ, რომ 1918-1922 წლებში ოსები ჩრდილო ოსეთთან გაერთიანებას მოითხოვდნენ ჩვენი მიწა-წყლით და კონფლიქტის მიზეზი ეს იყო. თქვენ გეცოდინებათ მათ მიერ შედგენილი რუკა და გეცოდინებათ აგრეთვე „ადამონ ნიხასის" მიერ შედგენილი რუკაც. თითოეული ოსი ამ რუკის განსახორციელებლად იბრძვის.

თქვენ ბოლოს აღნიშნავთ რომ უსამართლობაზე აშენებული საქართველო მე არ მინდაო. მეც გეთანხმებით, მაგრამ ვისგან მოდის ეს უსამართლობა?

ქალბატონო ნაირა, როგორც თქვენ აღნიშნავთ, ჩვენს მიწა-წყალს ფაქტობრივად ვკარგავთ და სამაგიეროდ ოსი ეთნოსი ჩვენი ტერიტორიის ხარჯზე ჰქმნის ერთიან ოსურ სახელმწიფოს.

ღმერთმა ნუ გაამართლოს მათი იმედი!..

გისურვებთ მიჰყოლოდეთ სამართლიანობის გზას თქვენი ერის სასიკეთოდ.

სოფელი ერედვი

ალექსანდრე ცოტნიაშვილი

# მამულიშვილობა და რენეგატობა ძველ საქართველოში და დღეს

შალვა ხიდაშელი

ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მე ივანე ჯავახიშვილთან ვმუშაობდი. ეს იყო ჩემი მომავალი ცხოვრების პირველი ნაბიჯები და დიდ კმაყოფილებას განვიცდიდი იმის გამო, რომ ამ ნაბიჯების ადგმა ბუმბერაზი მეცნიერის და დიდი ადამიანის ხელმძღვანელობის პირობებში მიხდებოდა.

ერთხელ ბატონმა ივანემ გამოგვიცხადა, რომ აპირებდა საჯარო ლექციის წაკითხვას ფართო აუდიტორიის წინაშე. ლექციის სათაურმა „მამულიშვილობა და რენეგატობა ძველ საქართველოში“ (მეორე ვარიანტით — „რაინდობა და ვერაგობა...“) ნათელი გახადა, რომ ბ-ნი ივანე ამ ლექციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ასეთი „ნაუცბათევი“ გადაწყვეტილება, რაღაც საგანგებო ფაქტით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

მამულიშვილობისა და რენეგატობის მაგალითები იმდენია ჩვენი ერის ისტორიაში, რომ ძნელი იყო მიხვედრა — რომელ მათგანზე შეაჩერებდა მომხსენებელი ყურადღებას. ამგვარი პოლიტიკური მოვლენები ყოველთვის ეთიკური შეფასების საგანს წარმოადგენდა ძველი ქართველი მემატიანეების თხზულებებში და მხოლოდ ჟამთაალმწერელის მატიანეც საკმარისი იყო იმისათვის, რომ მსგავსი მაგალითებიც ენახა და მემატიანეთა ეთიკური პოზიციაც გაერკვია.

როგორც შემდეგ გაირკვა, ბ-ნ ივანეს სვიმონ I-ის მეფობის ხანა და მისი რენეგატი ძმის, დავით XI-ის, შემდეგ დაუთ-ხანად წოდებულის მოღვაწეობა ჰქონდა ლექციის თემად აღებული.

ლექცია ყოფილი განათლების მუშაკთა სახლის დარბაზში შედგა და მრავალრიცხოვანი მსმენელებით მთლიანად გაივსო. სამწუხაროდ, ლექციის ჩანაწერები არ შემორჩენილა და მისი შინაარსის აღდგენა შესაძლებელი ხდება „ქართველი ერის ისტორიის“ IV ტომის მიხედვით, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა (1948 წელს).

მოვლენები, რომლებსაც ივჯავახიშვილის ლექცია ეხებოდა, XVI საუკუნეს განეკუთვნება და რას წარმოადგენდა ეს საუკუნეები საქართველოს ისტორიაში, იმდენად ცნობილია, რომ დიდხანს შეჩერება საჭირო არაა. გასაგებია, რომ როდესაც სვიმონი გამეფდა (1558 წელს) ქვეყანა მძიმე პირობებში იმყოფებოდა და როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს — „ჭაბუკმა სვიმონ მეფემ დიდი მხნეობა გამოიჩინა და სამეფოს მოგვარებას შეუდგა“ (დას. ნაშრომი, გვ.261). მოკლე ხანში შესძლო ქვეყანა ალაგინა და „იმდენი ძალღონე მოიკრიბა, რომ საქართველოს დედაქალაქის მტრის ხელიდან გამოგლეჯაზე ფიქრს შეუდგა“ (გვ.262).

როგორც ცნობილია, მან რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამიერ და იმიერ საქართველოს გაერთიანების მიმართულებითაც.

მაგრამ რამდენადაც სვიმონ მეფის მოღვაწეობა პატრიოტული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და ქვეყნის კეთილდღეობისაკენ მიმართული, იმდენად პირადი წარმატების სურვილსა და ქვეყნის ღალატზე იყო დამყარებული მისი ძმის დაუთ-ხანის მოქმედება. ერის ისტორიის ამ მძიმე პირობებში მან საიდუმლო კავშირი დაამყარა საქართველოს დაუძინებელ მტერთან, შაჰ-თამაზთან, ეახლა მას თავისი ამალით და გადავიდა მაჰმადიანურ რწმენაზე. სამაგიეროდ მიიღო „ქალაქისა და სომხეთ-საბარათიანოს მეფობა“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ.512). შევიდა საქართველოს ისტორიაში, როგორც „კაცი ულმერთო,.. მეძავი და მემრუშე, რომლის გულსა არარა იყო ზრახვა სულისა და ქვეყნისა“, როგორც „სულმოკლე და მოღალატე“.

ასე დაიწყო ხანგრძლივი პოლიტიკური დაპირისპირება სვიმონ მეფესა და დაუთ-ხანს შორის, რომელიც წარმოადგენდა ძმათაშორის ბრძოლის ნამდვილ მაგალითს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც და გადატანითი აზრითაც.

ერთ-ერთი ემიგრაციის დროს, როდესაც დაუთ-ხანი სტამბულში იყო გადახვეწილი და ხონთქრის კარზე ეწეოდა მოღალატურ მოღვაწეობას, იგი „მრავალ საქიმო და სამეცნიერო წიგნებს“ გასცნობია. მათ შორის ორის საფუძველზე მესამე, ქართულ ენაზე შეუდგენია. მისი სიტყვებიდან — „საქართველოში მრავალი ასეთი კაცი ვნახეთ, რომ უხელობით და უცოდინარობით მოკვდა და დაზიანდაო“ — ჩანს, რომ ამგვარი წიგნის ქართულად შედგენის მნიშვნელობა კარგად ჰქონია შეგნებული და ქართველ ხალხს დიდი სარგებლობაც გაუწია.

დაუთ-ხანის ეს თხზულება — „იადიგარ დაუდი“ — სწორედ ამ დროს, 1938 წელს გამოვიდა. დაუთ-ხანი ქართველ საზოგადოებაში პოპულარულ პიროვნებად იქცა.

ივანე ჯავახიშვილმა ობიექტურად შეაფასა დაუთ-ხანის მოღვაწეობის ეს მხარე. დაუთ-ხანი, ფიქრობდა ბატონი ივანე, — „სრულს ჭეშმარიტებას სწერს“, როდესაც საქიმო წიგნის შედგენა „ადამიანის ჯანმრთელობისათვის ხელის შემწყობ“ სათნოებად მიაჩნია. მეცნიერი იზიარებდა დაუთ-ხანის სიტყვებს — „კაცმან კაცი რომ სასჯელისა და სიკვდილისაგან დაიხსნას და მოარჩინოს, უფრო უმეტესი მადლი არისო“ („ქართველი ერის ისტორია“, IV,1948,გვ.271).

მაგრამ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ერის წინაშე დამსახურების გარკვევისათვის საჭიროა პიროვნების მოღვაწეობის ყოველმხრივი შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ — მისი შეფასება, მით უმეტეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც საკითხი პოლიტიკურ მოღვაწეობას ეხება. მისი ლექციის მიზანს ისტორიული ჭეშმარიტების აღდგენა შეადგენდა და ლექციის პათოსი იქით იყო მიმართული, რომ ქართველი საზოგადოებისათვის მისი რენეგატული მოქმედება გაეხადა ნათელი. ამავე დროს, ეს იქნებოდა პასუხი კითხვაზე: შეიძლებოდა თუ არა დაუთ-ხანის ლიტერატურული მოღვაწეობა გამხდარიყო კომპენსაცია იმ მორალური და ფიზიკური ზარალისა, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, ამ „მართლაც ულირსმა დაუთ-ხანმა“ ქართველ ერს მიაყენა.

რა თქმა უნდა — ისმოდა დარბაზში ბატონ ივანეს ხმა — ხსენებული „საქიმო“ წიგნის შედგენა კეთილშობილური და მოსაწონი საქმეა, მაგრამ „ახსოვდა თუ არა“ დაუთ-ხანს, რომ საქართველოში მრავალი კაცი მარტო „უხელობითა და უცოდინარობით“ არ დაზიანებულა და რომ არა ნაკლები და უფრო მეტი მსხვერპლი „შინაურ, ძმათაშორის მტრობასა და ბრძოლას“ გამოუწვევია, როდესაც „ქართველთა უდანაშაულო და უმანკო სისხლი იღვრებოდა“ და ეს სისხლისღვრა გამოწვეული იყო „მისებრ უგუნური ბატონიშვილებითა და დიდებულებით“, რომლებიც „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გმირ და რაინდ მებრძოლთა გვერდში ამოდგომისა და შველის“ ნაცვლად, „ვერაგობას, მტრის ბანაკში ყოფნასა და ქვეყნის და მშობელი ერის ღალატს“ ამჯობინებდნენ (იქვე,გვ.281).

და აგონდებოდა თუ არა დაუთ-ხანს „ეს თავისი სააუგო წარსული“, როდესაც ის „სამშობლოს უბედურებით საკუთარი ბედნიერების მოპოვებისა“ და სტამბოლში გადახვეწის დროს „ამაოდ ელოდებოდა გარეშე ძალის დახმარებას“. მაგრამ ტრაგედია ის იყო, რომ [illegible] მან მაინც [illegible] შენაძენი [illegible]

მის კარაბადინს — დაასკვა ბატონმა ივანემ — „ქართული ეროვნული საქმისათვის მიყენებული ზიანის არც გამოსწორება, არც ანაზღაურება შეეძლო. შთამომავლობას მისი ავტორობის არა ახსოვდა რა, ისტორიას კი ერთი წიგნის შედგენისათვის საუგო მოღვაწეობის დავიწყება არ შეეძლო და უფრო „ულირსად“ მიაჩნია, ვიდრე საბრალოდ“ (იქვე,გვ. 271-72).

ხშირად მომისმენია ბატონ ივანეს ლექციებიც, მოხსენებებიც, გამოსვლებიც. მათ არასოდეს არ აკლდათ ემოციური დატვირთვა, თუმცა ბევრისაგან განსხვავებით, ეს ყოველთვის სოცრად თავშეკავებული და სოლიდური ფორმით ვლინდებოდა. მაგრამ ლექცია დაუთ-ხანის რენეგატობაზე მაინც განსაკუთრებული იყო. მგზნებარე, აღგზნებული ლაპარაკობდა; მსმენელებით გაჭედილი დარბაზი სულგანაბული უსმენდა. ლაპარაკობდა ისე, თითქოს თვალწინ ედგა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე “ძმათაშორისი მტრობითა და ბრძოლით“ დაღუპული ყოველი ცალკეული ადამიანი.

ჩემს ცნობიერებაში ახლაც ცოცხლად ჟღერს სიტყვები, რომლებითაც ლექცია დამთავრდა და რომლებსაც თავისი მნიშვნელობა არც დღევანდელ ვითარებაში დაუკარგავთ: „განა ერის წინაშე დამსახურება იმით იზომება, რომ ორი წიგნი წაიკითხო და მესამე დაწერო?!“.

ამ ლექციის გახსენება და მასზე დაკვირება იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ივჯავახიშვილის მიზანს მხოლოდ ისტორიული სიმართლის აღდგენა არ შეადგენა.

ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში (1914 წ.) წერდა: დავით აღმაშენებელმა „აზნაურთა ურჩობის ჭეშმარიტი ბუნება და თვისებები შეიგნო“ და დარწმუნდა, რომ „ნათესავი ქართუელთა ორგულ ბუნება არს პირველითგან თვისთა უფალთა“, და აქედან აუცილებელი დასკვნები გამოიტანა.

ეს სიტყვები თავად ივჯავახიშვილზეც ითქმის. მისთვის საქართველოს ისტორია და მისი ცალკეული მოვლენები არ იყო მხოლოდ მეცნიერული განზოგადების საგანი. ქართველთა მამულიშვილობაზე და რენეგატობაზე დიდი მამულიშვილი წერდა, რომელიც ისტორიულ ფაქტებს გულითაც განიცდიდა და ეთიკურ შეფასებას აძლევდა. ამგვარი პოზიცია ძველი ქართველი მემატიანეების თავისებურებაა და მისთვის არც ივჯავახიშვილს უღალატნია.

გავიხსენოთ ჟამთაალმწერელის „ჰოი სალმობიერი ღაღადი და დიდი ღაღადი ცრემლთა!“; ანდა „ჰოი გონება მხეცთა უმძვინვარესი, რომელი აღასრულა შვილსა და ძმასა ზედა, დამვიწყებელმან დედობრივთა და ძმაბრივთა ლმობათამან“, რომლებიც წარმოსთქვა მან ტფილისის სპარსელების მიერ გაცემის შემდეგ მომხდარი ამბებისა და ქართველი მეფის ჩადენილი ბოროტების გამო: „... ჩჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა დაანარცხიან. და რომელსამე თვალნი წარსცვივდიან და რომელსამე ტვინი დაითხიას... ტვინი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩვილთა თმა და სისხლი, თავი მხართაგან განშორებული“ და ა.შ.

ეს წერილი ივ.ჯავახიშვილის ლექციის გახსენებაა და აქვს მიზეზიც და მიზანიც.

ისტორიაში არასოდეს არ ხდება მოვლენათა ზუსტი განმეორება, მაგრამ როდესაც ჩვენს დღევანდელ ვითარებას შორეულ და უფრო ახლობელ წარსულს ვადარებთ, გარკვეული ფსიქოლოგიური ასოციაციები წარმოიქმნება. შეიცვალა ღალატის გამოვლენის ფორმები, მაგრამ შედარებით მყარი აღმოჩნდა ადამიანური ვნებები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ერი წარმოადგენს არა მხოლოდ პიროვნებათა ერთიანობას, არამედ პიროვნებათა ერთიანობას და ამიტომ შესაბამისად ფართოვდება „ღალატის“ ცნების შინაარსიც. ეროვნული ბრძოლისა და ღალატის გვერდით იქმნება სოციალური ბრძოლისა და ღალატის წარმოდგენაც. მეტის თქმაც შეიძლება: ისტორიული განვითარების გარკვეულ პერიოდში და განსაკუთრებით დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში, კაცობრიობის „განებივრებულ“ ნაწილში ეროვნულ დამოუკიდებლობაზე და თავისუფლებაზე უფრო დიდი მნიშვნელობა პიროვნების თავისუფლებას მიენიჭა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში ამ პრობლემის ფიქსაციამ პირველი ადგილი დაიჭირა. ეს მთელი რიგი პირობებით იყო განსაზღვრული და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და გაეროს დაარსების შემდეგ მსოფლიოს ქვეყნების ნაწილში ეროვნული საკითხი პრაქტიკულად მოიხსნა.

საქართველოს ისტორიული ბედი სხვაგვარად წარიმართა, ის სხვაგვარ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა; საბჭოთა იმპერიალიზმი დიდხანს შემორჩა კაცობრიობას და უპირველეს მტკივნეულ ამოცანად ეროვნული განთავისუფლების საკითხი დარჩა.

ხელისუფლება, რომელიც 1992 წლის იანვარში დამთავრდა, შეიძლება ითქვას, ხალხის ღალატს წარმოადგენდა. მან ვერ (თუ არ) გამართლა ხალხის ნდობა, გაქელა მართვის დემოკრატიული პრინციპები; უგულებელჰყო იდეები, რომლებითაც ხალხი შეხვდა ბოლშევიკური წყობის ნგრევას და ახლად წარმოქმნილი პოლიტიკური წყობის პირველ ნაბიჯებს.

ადრევე, 1992 წლის იანვრამდე მქონდა არაერთგზის შემთხვევა ხელისუფლების კრიტიკისა, მაგრამ არ მიძებნია ანალოგიები ძველ საქართველოს რენეგატობასთან. ნიადაგი ამისთვის მეტი სიცხადით 6 იანვრის შემდეგ წარმოიქმნა, როდესაც საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლა გარედან წარმოებს და ერის შუაზე გახლეჩის, ნამდვილი „ძმათაშორისი სისხლისღვრის“ პროვოცირების „მეთოდით“ ხდება.

დღევანდელ ჩვენს მკითხველს, ვფიქრობ, არ სჭირდება გახსენება ზუგდიდის ამბებისა, გროზნოში ჩატარებული „საქართველოს პარლამენტის“ სესიის, სისტემატური დივერსიებისა, ქართული წიგნების დაწვისა 25 მარტს. გახსენება 28 მარტის მოვლენებისა, რომლებსაც ჩვენი ცხოვრების სულ სამიოდე კვირის მანძილზე მიღწეული საგარეო და საშინაო პოლიტიკის დიდი წარმატებების ფონზე, მხოლოდ ერთი სახელი შეიძლება ეწოდოს — ვერაგობა!

ხალხი დაიღალა, ეროვნული მოძრაობა ბოლოსდაბოლოს სწორ გზას დაადგა და შემდგომი წარმატების უპირველესი პირობა ერთსულოვნება და მხოლოდ ერთსულოვნებაა. ყოველგვარი საპირისპირო მოქმედება ერის ღალატია, უპერსპექტივო და განწირული ღალატი.

# „არ შეიძლება გაზეთში ტყუილი ეწეროს!“

ფაქტია, რომ ჩვენში ბევრი ჯერ კიდევ ნაბეჭდი სიტყვის „ჯადოს“ ქვეშ იმყოფება — გულწრფელად მიაჩნიათ რა, რომ „არ შეიძლება გაზეთში ტყუილი ეწეროს!“. ასეთი მკითხველი არა მარტო უკრიტიკოდ იღებს, იჯერებს ყოველგვარ, აშკარად დაუჯერებელ ინფორმაციასაც კი, არამედ აქტიურადაცავრცელებს. ესეცაა მიზეზი ათასგვარი ყალბი მითების, ლეგენდების შექმნისა (არცთუ დიდი ხნის წინ ამგვარად შეიქმნა ლეგენდა იმის შესახებ, რომ ბ-ნ ზვიად გამსახურდიას თურმე „ნახევარი სიცოცხლე ციხეში ჰქონია გატარებული“).

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „ერთობის“ ამა წლის მე-2 ნომერში დაიბეჭდა ბატონ ომარ ხახაშვილის წერილი „ცინიზმი და თვითცინიზმი“.

ამ, საერთოდ ანტიტოტალიტარული, „ანტისტალინური“ ხასიათის წერილში ზემოაღნიშნული „მიმდობი“ და განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, „დამწყები“ მკითხველი აღმოაჩენს, რომ თურმე —

სტალინი „ისეთ ანგარიშს უწევდა ხალხსა და აზროვნებას, რომ მხოლოდ მოთავეებსა და მოაზროვნეებს იჭერდა, ციმბირში ასახლებდა ან ფიზიკურად სპობდა... ერთი რამ უტყუარია: სტალინი უბრალო ხალხს არ ერჩოდა. ხალხი თავისებური კერპი გახლდათ მისთვის, მისი რწმენის წყარო. თვითონაც ხალხის შვილი იყო: ერთ პატარა ქოხში იშვა და ისწავლა სიარული“.

არ დაიჯეროთ!

ძალიანაც „ერჩოდა“ უბრალო ხალხს. შორს რომ არ წავიდეთ, სტალინისაგან „წალმა-უკულმა გადასახნავად“ რეკომენდებულ საქართველოში არა მარტო „მოთავეები“ (რისი „მოთავეები“?!), ათასობით სწორედაც რომ უბრალო (ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით) ადამიანი გაასახლეს, მოსპეს...

თურმე —

„სტალინს სჯეროდა, რომ კომუნიზმი იხსნის ხალხს სიდუხჭირისაგან, რომ მისი აშენება შესაძლებელია. და მზად იყო ამ მიზნის მისაღწევად ადამიანის ძვლებზეც გადაევლო. მისი ტრაგედია უბრალოდ ფანატიკოსის ტრაგედიაა, რაც ღმერთის ვერწვდომაში და, მაშასადამე, კერპთაყვანისმცემლობაში მდგომარეობს“.

ჯერ ერთი, „ადამიანის ძვლებზე გადავლით“ აშენებული კომუნიზმის „სიკეთისა“ რა ვთქვი და მეორეც — ნამდვილად არ იყო სტალინი ისეთი ფანატიკოსი, გულუბრყვილო, უხეშად რომ ვთქვათ, „უჭკუო“, იმგვარ ქვეყანაში, ის რომ მოღვაწეობდა, კომუნიზმის აშენების შესაძლებლობა ერწმუნა.

თურმე —

„ხალხის თაყვანისცემისათვის ცინიკოსებს მორწმუნედ მოეჩვენათ სტალინიც კი. ამიტომაც მოუწყვეს მას შეთქმულება“.

ეს უკვე მართლაც „ლეგენდარული“ ლეგენდაა: სტალინს „ხალხის თაყვანისცემისათვის მოუწყვეს შეთქმულება“! ასე კალმის ერთი მოსმით ამოიხსნა იმგვარი საიდუმლო, ასეულობით მკვლევარმა დღემდე რომ ვერ ამოხსნა — არათუ შეთქმულების მიზეზი, მოტივი, ისიც კი ვერაა დანამდვილებით დადგენილი, იყო თუ არა საერთოდ შეთქმულება. ბ-ნ ო.ხახაშვილს კი, როგორც ვხედავთ, ფაქტიც დაუდგენია და „მიზეზიც“.

წერილში ლეგენდთმთხზველობა მხოლოდ სტალინის თემით არ ამოიწურება: „...ფანატიზმის საშინელება ხშირ შემთხვევაში უარესს აკეთებინებდა ადამიანებს: ბევრი ნებაყოფლობით იგიჟიანებდა თავს, როგორც, მაგალითად, უშანგი ჩხეიძე...“.

უხერხულადაც კი მიმაჩნია ამგვარი განცხადების, რბილად რომ ვთქვათ, უსაფუძვლობის მტკიცება. მაგრამ ალბათ უფრო „უხერხული“ იქნება თუ ჩვენი დუმილით ხელს შევუწყობთ ამ, ისევ რბილად ვამბობ, უცნაური ლეგენდის გავრცელება-დამკვიდრებას.

არა, უშანგი ჩხეიძეს თავი არ მოუგიჟიანებია. ერთი იმიტომ, რომ ეს არ სჭირდებოდა, და რაც მთავარია, ამას არ იკადრებდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავის მომგიჟიანებელი ადამიანი იმდენს ვერ მიხვდებოდა, რეჟისორებისადმი, მსახიობებისადმი, თეატრალური საკითხებისადმი, მიძღვნილი წერილები არ გამოექვეყნებინა პრესაში და ამით საკუთარი „სიგიჟისადმი“ ეჭვით არ განეწყო „ისინი“?! არადა, ამგვარ წერილებს უშანგი ჩხეიძე აქვეყნებდა 30-იანი წლების დასასრულსაც, 40-იან წლებშიც და 50-იანის დასაწყისშიც, ანუ იმ პერიოდში, როცა, ო.ხახაშვილის ლოგიკით, თავის მოგიჟიანება „სჭირდებოდა“.

მესმის, რომ ავტორს სრულიადაც არ სურდა უშანგი ჩხეიძის სახელის, ხსოვნის შებღალვა, მაგრამ, „ლამაზად“ რომ ვერ გამოუვიდა, ფაქტია.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რაოდენი სიფრთხილეა საჭირო, სანამ რამეს დაწერ კაცი, მით უფრო, დაბეჭდავ-დაბეჭდილს ხომ ნაჯახითაც ვერ ამოკვეთ!...

ფელიქს კოჭიაშვილი

# აუცილებელი პოსტსკრიპტუმი

მიხეილ მახარაძე

ქართველი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი, რომ 1991 წლის 22-23 აპრილს ქალაქ ბათუმში მოხდა დიდი არეულობა, სულ მალე კი იქვე, 30 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს მაშინდელი უზენაესი საბჭოს წევრი ნოდარ იმნაძე. ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით, ძიება, როგორც ეს ამას წინათ აღნიშნა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ, დროებით შეჩერებულია. ძიების საქმე ჩვენ არ გვეხება და მასზე ვერაფერს ვიტყვით. საერთოდ ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით იმთავითვე გაურკვეველი და ცოტა უცნაური სიტუაცია შეიქმნა. დაიღუპა უზენაესი საბჭოს წევრი, მაგრამ ამ ფაქტზე საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ოფიციალურად არავითარი განცხადება არ გააკეთა. ამასთანავე დაღუპული ნოდარ იმნაძე ბათუმიდან თბილისში გადმოასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს საბურთალოს პანთეონში. ყველაფერი ეს კი ბუნებრივია ბადებდა მრავალგვარი ეჭვების საფუძველს. ყოველ შემთხვევაში დღემდე გაურკვეველია იმ ღამეს ნოდარ იმნაძე დაიღუპა როგორც გმირი (რაზედაც მინიშნებულია ზოგიერთ პუბლიკაციაში), თუ ის თავისი საბედისწერო შეცდომის მსხვერპლი შეიქნა (რაზედაც თვალნათლივ უნდა მეტყველებდეს განსვენებულის ქალიშვილის—ნატო იმნაძის ნაამბობი.).

ამ ბოლო ხანებში კვლავ მოექცა ყურადღების ცენტრში გასულ წელს ბათუმში დატრიალებული ტრაგედია. ამის შესახებ უფრო ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი, ეკითხებიან მაღალი თანამდებობის პირებს, გამოქვეყნდა მკვეთრი წერილები, ამ ფაქტზე საკმაოდ მკაცრად იყო ლაპარაკი ერთ-ერთ ინტერვიუში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აჭარის მკვიდრთა და განსვენებული ნოდარ იმნაძის დამოკიდებულება არ ყოფილა ერთგვაროვანი. ცნობილია, რომ 1988 წლის 10 დეკემბერს ბათუმში სასტიკად დაარბიეს ნოდარ იმნაძის სახლი. ისიც ცნობილია, რომ ნოდარ იმნაძე დიდად ზრუნავდა სტიქიით დაზარალებულ აჭარლებზე. ამასთან ფაქტია ისიც, რომ იგი იმ საბედისწერო ღამეს ავტომატის სროლით შეიჭრა აჭარის უზენაესი საბჭოს შენობაში... ყოველივე ამის გათვალისწინებით, სანამ გამოძიება არ განახლებულა და არ დამთავრებულა, წინასწარ ლაპარაკი კონკრეტული პიროვნებების დანაშაულზე ამ ტრაგედიაში, ყოვლად გაუმართლებელია.

ბათუმის ამბებთან დაკავშირებით ბოლო ხანებში ორი საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა: მაია გოგოლაძის „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია?" („7 დღე",26. 02-3. 03.92) და გივი თევზაძისა და შოთა მაჭარაშვილის „ნოდარ იმნაძე: დაღუპვამდე ერთი კვირით ადრე" („დამოუკიდებელი გაზეთი", 11.03.92). ეს უკანასკნელი წერილი ძირითადად გასულ წელს მომზადებულა და ეხება 22-23 აპრილის ამბებს ბათუმში. მომზადებული წერილი სტამბას გადაეცა 29 აპრილს, მაგრამ ნ.იმნაძის დაღუპვის გამო მისი გამოქვეყნება შეფერხებულა.

აღნიშნული პუბლიკაციების მიხედვით, გასული წლის 22-23 აპრილის ბათუმის ამბებში დიდი წვლილი მიუძღოდა ადგილობრივ ხელისუფლებას. მათ სპეციალური ავტობუსებით რაიონებიდან საგანგებოდ მოუყვანიათ ხალხი. მიტინგზე მოწვეულებს, როგორც ეს პუბლიკაციებიდან ჩანს საკვებთან ერთად აძლევდნენ ალკოჰოლიან სასმელებს, რაც მიტინგის უმართაობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გამხდარა. აღნიშნულს ჩვენის მხრივ დავამატებდით იმას, რომ 22-23 აპრილს ბათუმის არეულობის მთავარი მიზეზი იყო დაპირისპირება ავტონომიის შენარჩუნების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, რამაც საბოლოოდ კონფრონტაციამდე მიიყვანა რეგიონის მოსახლეობის ერთი ნაწილი. ვფიქრობთ ახლა არის საჭიროება შევეხოთ ისეთ საკითხებს, რომლებიც ცნობილია და შეფასებულია კიდეც. განვიხილოთ საკითხები, რომლებიც დღევანდელი პოზიციიდან სხვანაირად იკითხება და რაც სამწუხაროდ არ აისახა ხსენებულ პუბლიკაციებში.

ორივე პუბლიკაციაში საუბარია იმის თაობაზე, რომ მომიტინგეებმა ჯერ დაარბიეს მინისტრთა საბჭოს შენობა, შემდგომ კი აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტრო. ამასთან მომიტინგეებმა გადააყენეს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო „განთავისუფლებულ პოსტებზე იქვე დანიშნეს მათთვის სასურველი პირები". ეს „სასურველი პირები" კი იყვნენ აჭარის ყოფილი საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი იოსებ ხიმშიაშვილი და აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ლევან ხოზრევანიძე. პირველი „დაინიშნა" მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო მორე შინაგან საქმეთა მინისტრად. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ხალხის მიერ „დანიშნულ" ი.ხიმშიაშვილს ერთი წუთითაც არ დაუკავებია ეს თანამდებობა, ხოლო ლ.ხოზრევანიძე აჭარის ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს სესიის პირველი სხდომის (1992 წელი, ივლისი) ჩატარებიდან მალე გაანთავისუფლეს ამ თანამდებობიდან და აგერ უკვე ნახევარ წელზე მეტია უმუშევარია. ამის შესახებ კი აღნიშნულ პუბლიკაციებში არაფერია ნათქვამი და არაფერი იქნება იმაში გასაკვირი მკითხველი თუ იფიქრებს, რომ დღემდე, აჭარაში, ამ თანამდებობებზე აღგზნებული ხალხის მიერ „დანიშნული" ხალხი მუშაობსო. ამით კი ნებით თუ უნებლიედ ყველაფერი ისევ და ისევ ხალხს ბრალდება. მაშინ, როცა მდგომარეობიდან გამოსულ ხალხს სხვები მართავდნენ, რაც კარგად ჩანს ბატონ ლევან ხოზრევანიძის ნაამბობიდან, რომლებიც წერილის ავტორებს ცხელ კვალზე ჩაუწერიათ.

ლ.ხოზრევანიძის მიერ 22-23 აპრილის ბათუმის ამბების შეფასება მნიშვნელოვანი და საინტერესოა იმითაც, რომ შეფასებას აკეთებს მოვლენებთან უშუალოდ დაკავშირებული პასუხისმგებელი პირი. ამასთან ეს შეფასება გამოირჩევა პრინციპულობით და ობიექტურობით. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ხალხს, რომელმაც ის მინისტრის მაღალ პოსტზე „დანიშნა" არავითარ შეღავათს არ უწევს. აი რას ამბობს ლ.ხოზრევანიძე: „გაღიზიანებული და აღგზნებული ადამიანები შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას მოადგნენ. ჩვენმა თანამშრომლებმა გზა „გადაუღობეს. როცა კარიდან ვერ მოახერხეს შემოსვლა, გარედან ცოცხალი კიბე აღმართეს და ისე ამოვიდნენ აივანზე. მინისტრის კაბინეტში შემოცვივდნენ, ეძებდნენ მამუკა კობახიძეს (აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი-მ.მ.). ავუხსენით, რომ ადგილზე არ იყო, როგორც იქნა დავარწმუნეთ. შემდეგ იქვე, მინისტრის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურის დასახელება დაიწყეს. ვერავინ ნახეს. ეს კაცი ვინ არისო, იკითხეს ჩემზე. გაიგეს ვინც ვიყავი. ეს იქნება მინისტრიო, ამიყვანეს ხელში, დამსვეს სკამზე, არ გაგიშვებთ აქედან, სანამ ჩვენი თხოვნა არ დაკმაყოფილდება და არ დაგამტკიცებენ ამ პოსტზეო. მთელი ღამე აქ გამატარებინეს. იმდენად უაზროდ იყვნენ, დილით ზოგიერთი ისევ ისე კითხულობდა ჩემზე, ეს კაცი ვინ არისო. ყველაფერი მშვენივრად იყო გათვლილი, — ხალხი მოატყუეს. რა უნდოდათ, რომ გეკითხათ, 99 პროცენტი ვერ გეტყოდათ, წინასწარ დაათვრეს, გააბრუეს. შეიძლება გასამრჯელოც კი მისცეს და თავისი ნება-სურვილის მიხედვით აამოქმედეს. ხალხი არაფერ შუაშია. ამ აქციის მომწყობთ კი აუცილებლად პასუხი უნდა მოეთხოვოთ." ვინც მიახლოებით მაინც იცნობს 22-23 აპრილის ბათუმის მოვლენების პერიპეტიებს, დამერწმუნება, რომ ბატონ ლევან ხოზრევანიძეს ამ ამბების უტყუარი დიაგნოზი აქვს დასმული. იქნებ სწორედ ეს პრინციპული პოზიცია გახდა თანამდებობიდან მისი განთავისუფლების მიზეზი?

გ.თევზაძისა და შ.მაჭარაშვილის პუბლიკაციიდან ცნობილი ხდება აჭარის მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის გურამ ჩიგოგიძის პოზიციაც ბათუმის ამბებთან დაკავშირებით, რაც გამჟღავნებულია მის პრინციპულ შეფასებაში: „ან რას ნიშნავდა მიტინგის ოფიციალურად დანიშვნა ორშაბათს, — 22 აპრილს, ლენინის დაბადების დღეს, საბჭოთა კავშირის ჰიმნისა და რუსული ლოზუნგების ქვეშ? არ ვიცი. ეს სამშობლოს ღალატია. დანაშაულია ერის წინაშე. ხალხის შეცდენა და მის ეროვნულ გრძნობებზე თამაში დაუსჯელი არ უნდა დარჩეს".

ამავე პუბლიკაციაში საინტერესო მასალას ვხვდებით ბატონების ასლან აბაშიძის, იოსებ ხიმშიაშვილისა და შალვა ვარშანიძის გამოსვლებსა თუ ნათქვამებში. ყველა ამ მონაცემების დროული პუბლიკაცია კი ბევრ რამეს მოჰფენდა ნათელს და უფრო ცხადს გახდიდა — ვინ არის ვინ! ამასთან დაკავშირებით ნაკლებ დამაჯერებელი გვეჩვენება პუბლიკაციის შეჩერების ავტორებისეული ახსნა: ნოდარ იმნაძის სიკვდილის შემდეგ „რედაქციისათვის გაურკვეველი იყო ბევრი რამ, ერთმანეთში აირია ტყუილი და მართალი". ვფიქრობ ჯერ კიდევ არაა გვიან ითქვას თუ რამ და ვინ შეუშალა ხელი აღნიშნული წერილების პუბლიკაციას.

ორივე პუბლიკაციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი განსვენებული ნოდარ იმნაძის მოსაზრებებს აჭარაში მიმდინარე პროცესებსა და ქართულ ეროვნულ მოძრაობაში შექმნილ სიტუაციაზე. ამ მოსაზრებათა გაცნობის შემდეგ მკითხველი დარწმუნდება, რომ ის ღრმასაფუძვლიანად იყო ჩახედული იმდროინდელ მწვავე სიტუაციებში და ამასთან მის სულში, რაღაც არაორდინალური მოვლენები ხდებოდა. ამ უკანასკნელ მომენტს აუცილებლად უნდა გაუწიოს ანგარიში ყველა იმან, ვინც 30 აპრილის ტრაგედიის შეფასებას შეეცდება.

მ.გოგოლაძის პუბლიკაციაში „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია?" არის ერთი აშკარა შეუსაბამობა. განსვენებული ნოდარ იმნაძის ქალიშვილი ნატო იმნაძე მოგვითხრობს 19 აპრილს თბილისში პრეზიდენტთან შეხვედრის ამბავს: „ზვიად გამსახურდიამ დაგვამშვიდა, რომ საშიში არაფერია, იგი ჩამოვა ბათუმში, ჩაატარებს რომელიმე მიტინგს და ყველაფერი რიგზე იქნება. მან გვითხრა: ასლან აბაშიძე დარწმუნებულია, რომ აჭარა მზად არის რეფერენდუმისთვის და რეფერენდუმში ავტონომიის გაუქმების მომხრეთა გამარჯვების იმედი აქვს". რეფერენდუმის მომხრეები და ბატონი ასლან აბაშიძე, რომ საპირისპირო პოზიციებზე იდგნენ ეს საყოველთაოდაა ცნობილი და გამომდინარე აქედან ამის მსგავსს ის არ ეტყოდა პრეზიდენტს. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს ამავე პუბლიკაციიდან, სადაც ცოტა ზემოთ ვკითხულობთ: „22 აპრილს გამართულ მუსულმანური საზოგადოების დამფუძნებელ (?!-მ.მ.) მიტინგს წინ უძღოდა ასლან აბაშიძის გამოსვლა აჭარის ტელევიზიით. ასლან აბაშიძემ ამცნო მთელს აჭარას, რომ მტერს განუზრახავს რეფერენდუმის მოწყობა, აჭარის ავტონომიის გაუქმება და მოუწოდა ყველას, ვისთვისაც სულერთი არ იყო აჭარის ბედი, 22 აპრილს, დღის 2 საათზე დასწრებოდა მიტინგს და გამოეხატა საკუთარი პოზიცია". ერთსა და იმავე პუბლიკაციაში ორი, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის მიწოდება ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, სწორ წარმოდგენას ვერ შეუქმნის მკითხველს საქმის რეალურ ვითარებაზე.

დასასრულს კი უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ ზოგადად მიმოხილული ორივე პუბლიკაცია ძალზე მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს როგორც ბათუმის 22-23 აპრილის მოვლენებზე, ისე 30 აპრილის ტრაგედიაზე. მაგრამ მათმა დიდი დაგვიანებით გამოქვეყნებამ და აქედან გამომდინარე ზოგიერთი იმ მომენტის გაუთვალისწინებლობამ, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი, მნიშვნელოვნად დაუკარგა მათ ღირებულება და აქტუალობა.

P.S.19 მარტს ტელევიზიით გადაიცა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის ინტერვიუ, რომელსაც უძღვებოდა ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია. ამჟამად ვერ ვხედავთ აუცილებლობას ამ ინტერვიუს შესაფასებლად. თუმც არის ერთი საკითხი, რასაც უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ. ინტერვიუერმა მოულოდნელად დასვა კითხვა აჭარაში „გახსნილ" თურქული სკოლების შესახებ. რამდენადაც მოულოდნელი იყო ეს კითხვა, იმდენად ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო პასუხი ამ კითხვაზე. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ აჭარაში თურქული სკოლები ამოქმედებულა. ამასთან პასუხში იყო ცდა ამგვარი ქმედების გამართლებისა. არადა აჭარაში არავითარი თურქული სკოლა არ გახსნილა. სინამდვილეში აჭარაში, მორწმუნეთა ერთი ნაწილი მოითხოვს, რომ ბათუმის მეჩეთთან გაიხსნას მედრესე (დაწყებითი ან საშუალო სასწავლებელი, სადაც ასწავლიან მუსლიმანურ რელიგიურ და იურიდიულ დოგმებს). ვიმეორებთ, ჯერ-ჯერობით ეს არის მხოლოდ მოთხოვნა და მეტი არაფერი. ამასთან არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთ სასწავლებლებში, როგორც წესი სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ არაბულ ენაზე. ასე რომ, აღნიშნული ინტერვიუში ყოვლად უსაფუძვლოდ წარიმართა საუბარი აჭარაში არარსებული თურქულ სკოლებზე.

# სამაჩაბლო თანადგომასა და შველას ითხოვს

არ არსებობს იმაზე მძიმე და დამამცირებელი მდგომარეობა — ქართველი საქართველოს მიწაზე იყოს ლტოლვილი და იჩაგრებოდეს იმის გამო, რომ ქართველია.

დღეს კი შიდა ქართლის ოჯახები აგრესიით და იძულებით მთლიანად აყრილია ქ. ცხინვალიდან, აგრეთვე ყოფილი ცხინვალის და ჯავის რაიონებიდან.

დარბეულია, გაძარცულია და გადამწვარია თითქმის ყველა ქართველის ოჯახი ქალაქ ცხინვალში და სერიოზული ზარალია მიყენებული მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქართული სოფლებისათვის.

ჯერ-ჯერობით გაურკვეველია ლტოლვილი ოჯახების მომავალი. აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს მათი სტატუსის საკითხი — უპირველეს ყოვლისა საკითხი მათი საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებისა და ნორმალური ცხოვრების აღდგენისა.

ყველაზე დიდი დანაკლისი მთელი საქართველოსათვის ის დაღუპული ვაჟკაცებია, რომლებიც ბარბაროსული წამებით, ვერაგული თავდასხმებით უდანაშაულოდ იქნენ მოკლული ოსი ბანდიტების მიერ.

დღევანდელი შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ყველაზე უფრო უშუალო საფრთხეშია ქართველი სოფლების მოსახლეობა, პირველ ყოვლისა — შეიარაღებული ბანდებისა და ყოფილი სსრკ შეიარაღებული ძალების ალყაში უკვე მესამე წელია მოქცეული ქართული სოფლების მოსახლეობა. ეს სოფლებია: თამარაშენი, ზემო და ქვემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ქემერტი, სვერი, ძარწემი და ხეითი. განსაკუთრებით ხიფათის ქვეშ იმყოფებიან ცხინვალის რაიონის სოფელი ერედვი და მისი მიმდებარე ქართული სოფლები. მუდმივ თავდასხმებს განიცდის ჯავის რაიონის ავნევის, ნულის და სხვა სოფლების ქართული მოსახლეობა. სრულიად დარბეული აღმოჩნდა ყოფილი ცხინვალის რაიონის სოფელი გუჯაბაური.

დიდი ზიანი მიაყენეს ყოფილი სსრკ შეიარაღებულმა ძალებმა და მათ მიერვე წაქეზებულმა ოსმა ბანდებმა გორის რაიონის სოფლებს და მოსახლეობას. განსაკუთრებით საფრთხე შეუქმნეს სოფელ ზემო ნიქოზის-მოსახლეობას. როგორც ცნობილია, დარბეულია და გადამწვარია სოფ. ვანის ეკლესიები და სხვა შენობები.

შიდა ქართლის ქართველი მოსახლეობის მიერ მიღებულია არა ერთი საპროტესტო მიმართვა ხელისუფლებისადმი, სადაც განცხადებულია შიდა ქართლის (ყოფილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის") ქართველი მოსახლეობის კანონიერი მოთხოვნა—ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს მათი მოქალაქეობრივი მდგომარეობა, რომ ისინი არ დაუშვებენ არავითარ სხვა ერთა პოლიტიკურ ავტონომიაში ქართული მიწის და მოსახლეობის კვლავ დაბრუნებას. ამის გარანტიებს მოითხოვენ ისინი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან.

ქართველი მოსახლეობის მიმართვის მთავარი და გადაუდებელი მოთხოვნაა შეწყდეს სისხლისღვრა, ძარცვა და რბევა საქართველოს ძირძველ მიწაზე — შიდა ქართლში.

წლების განმავლობაში ყოველმხრივმა ხელშეწყობამ ცენტრის მხრიდან და პასიურმა მორჩილებამ, უფრო სწორად კი, ხელშეწყობამ საქართველოს ადრინდელი ხელისუფლების მიერ მიგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შევეხო ე.წ. ოსი ლიდერების თავისი ხალხის მიმართ დამღუპველი პოლიტიკის სამ პრინციპულ საკითხს:

1. ოსი „ლიდერების, უფრო სწორად, სეპარატისტების ბრძოლა განწირულია, რადგან იგი იდეურად მცდარია და თავისი ხალხის მიმართ დამღუპველია, რადგან იგი დაფუძნებულია სიყალბეზე, ღალატზე, უმადურობაზე.

2. ოსი ექსტრემისტები სარგებლობენ სწორედ იმავე მეთოდებით, რომლითაც მოიპოვეს „წარმატებები" 1918-1922 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ. რუსეთთან უთანასწორო ბრძოლაში, რასაც მოჰყვა საქართველოს ანექსია და ქართულ მიწაზე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის აო-ს" უკანონო ერთეულის შექმნა.

3. ოსი ექსტრემისტები არ ითვალისწინებენ და ფაქტიურად გაწირეს ოსი ხალხი, რომელიც ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და შეადგენს სერთო ოსური მოსახლეობის უდიდეს ნაწილს.

მოვუწოდებთ ოს მოსახლეობას, რომლებიც ცხოვრობენ თბილისში და საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, თავიანთი მომავლის გადარჩენის მიზნით, თვითონვე უზრუნველყონ ოს ექსტრემისტთა მოქმედების აღკვეთა საქართველოში.

ორმაგად მძიმეა მიწისძვრით მიყენებული ზარალი სამაჩაბლოს მოსახლეობისათვის ისედაც უკიდურესად გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს განსაკუთრებული ნგრევა

(გაგრძელება მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტელექტუალური ტერორიზმი

გაიოზ ერაძე

სამიოდე წელია, რაც ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას დაეუფლა ახალი მოვლენა, რომელსაც მე დავარქმევდი „ინტელექტუალურ ტერორიზმს“.

მოვლენას დასაბამი მიეცა მაშინ, როდესაც კომუნისტური რეჟიმის ინოფრმაციულმა ცენზურამ ძალა დაკარგა და ინფორმაციის საშუალებებს თავისუფალი აზრის გამოთქმის რეალური საშიშროება „დაემუქრა“.

ეგრეთწოდებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელიც თანდათან ეუფლებოდა მასებზე ზეგავლენის საპროპაგანდო ბერკეტებს, დაიპყრო და მიითვისა საქართველოს რედაქციების იდეოლოგიური სამსახურები. სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებების ხელში აღმოჩნდა რედაქციების მთელი კოლექტივები თავის რედაქტორებიანად. კომუნისტური რეჟიმის პერიოდში გამოვლილი, უაღრესად მორჩილი ფსიქიკის საინფორმაციო ცენტრები ცენტრალური იდეოლოგიური ვაკუუმის პირობებში ადვილად ემორჩილებოდნენ ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებების ლიდერების დიქტატებს. პირადული გამოცდილებით მოგახსენებთ, რომ ამ მხრივ არც ახლაა დიდი ცვლილებები მოსალოდნელი.

აქედან აიღო სათავე მასების ფსიქიკის ცალმხრივი დამუშავების მანკიერმა სტილმა. დაიწყო ნამდვილი ინფორმაციული ომი. მკითხველს კარგად ახსოვს ამ ომში მონაწილე პარტიებისა, ლიდერებისა და მათი მხარდამჭერი პირების, ენაში გაწაფულ სპეციალისტთა გაუთავებელი შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ხასიათის ურთიერთსაწინააღმდეგო პოლემიკების სერიები.

ასე, თქვენდა უნებურად, ჩემო მკითხველო, ხდებოდა თქვენი პოლარიზაცია და პოლიტიზაცია. საზოგადოების დაყოფა იმდენ ნაწილად, რამდენიც პოლიტიკური ერთეული არსებობდა.

პიროვნების მორალური ჩაჩეხვა, მის წარსულში ტყუილ-მართალის ქექვა, მისთვის იარლიყების ჩამოკიდება და სხვა უკადრისი საქციელნი, რომელსაც, სრულიად მშვიდათ კადრულობდნენ ჩვენთვის ცნობილი პირები, პოლიტიკური მოტივით პიროვნული ანგარიშსწორების მიზნით, უსასტიკესი ფორმებითა და მიუღებელი ზნეობით, რაც როგორც გახსოვთ, რედაქციებისა და სტამბების დარბევებით დამთავრდა. ეს არ გახლდათ კრიტიკა, რადგან სინამდვილე და ობიექტურობა არავის აინტერესებდა, არც დამწერს (მწერალს მას ვერ დავარქმევ) და არც მკითხველს. ყველას აინტერესებდა, ორ მამლაყინწას შორის რომელი უფრო მარჯვედ ჩაკორტნიდა მეორეს. ფეხბურთის პერიპეტიების ნაცვლად საზოგადოება გადავიდა ინტელექტუალური ტერორისტების პოტენციალური შესაძლებლობების შეფასებებზე. მათ თაყვანისმცემლებიც კი გაუჩნდათ. ქართული, ზურგს უკან დაცინვის, ტრადიციული ხასიათი განსაკუთრებით აძლიერებდა ტერორისტების ენთუზიაზმს, ძალას მატებდა მათ თავხედობას. ისინი ძირითადად თავიანთი “პატრონის“ ნებას ემორჩილებოდნენ და გამოხატავდნენ მათი მოწინააღმდეგეების მიმართ შეურიგებლობის სიმწვავეს. ტერორისტები პატივსაცემ, პოპულარულ პირებად გადაიქცნენ და პოლიტიკური წონაც დაიმკვიდრეს. ამ როლს ვერც მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა აუარეს გვერდი.

მათ განკარგულებაში იყო გარკვეული იდეოლოგიური სფერო, სადაც ყოველი ახალი, განსხვავებული აზრის გამოჩენისას ისინი პასუხს აგებდნენ თავის თანამოაზრეთა წინაშე. ზოგიერთი მათგანი თვითმარქვიაც გახლდათ და ოკეანის ზვიგენივით ყოველ საეჭვო მოძრავ სხეულზე სწრაფ რეაქციას აკეთებდა იმ მიმართულებით, თუ რომელი პოლიტიკური ლიდერის ყურადღების მიპყრობის ღირსი უნდა გამხდარიყო.

იმ პერიოდში საკმაოდ „დავიბომბე“, რადგან ასეთი მოვლენის მიზეზგარეშე ლანძღვა-გინების პერსპექტივაში დამოუკიდებლობის მოახლოვების პერიოდისათვის ფიზიკური ანგარიშსწორება დავინახე. იუდა და როდიონოვი შემარქვა მაშინ ერთმა აქტიურმა ნაპარტიებმა, ნაპატიებმა და ნაპატივებმა პატრიოტმა ფილოსოფოსმა. ანტიგამსახურდიისტობა დამწამეს მაშინ ამ სე ჰიისათვის, თუმცა, ღვთის წინაშე, მთელ საზოგადოებას მოვუწოდებდი ისტერი...გან თავის შეკავებისაკენ. ეს იყო 1990 წლის იანვარში.

ჩვენს მტერს აუხდა ისე ყველაფერი კიდევ, როგორც ჩვენ აგვიხდა მაგ ამბავი. ამაზე აღარ ვილაპარაკებ. მას შემდეგ, მიუხედავად ჩემი ასეთი ხასიათის მრავალგზისი გამოსვლისა პრესაში ყველაფერმა უმტკივნეულოდ ჩაიარა და მოულოდნელად 1992 წლის 21 თებერვლის გაზეთი „საქართველო“, ბატონი რუსლან მიქაბერიძის ინტერვიუ „რაც უნდა ბევრი დაგიკრან ტაში...“

თარილი სხვაა, მოვლენა იგივე — ინტელექტუალური ტერორიზმი. ვინაიდან ეს მოვლენა მიმაჩნია საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების უპირველეს ქვეცნობიერ სათავედ. იძულებული ვარ გვერდი არ ავუარო და სხვა ინტერპრეტაცია მივცე ამ, თითქოსდა „უწყინარ პაროდიას“, რომელიც ჩემი სატელევიზიო გამოსვლისათვის მიუძღვნია ინტერვიუს ავტორს და რეკლამადაც შეიძლება გამოდგეს. მითუმეტეს, რომ შესაძლებელია, თვით ბატონ რუსლანს ვერ ჰქონდეს გათვითცნობიერებული სათანადო მასშტაბით ამის მნიშვნელობა.

ინტერვიუში ბატონი რუსლანი საკმაოდ გულახდილად და კრიტიკულად აფასებს ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობას, თავს მოტყუებულად სთვლის, მოვლენების ნაფოტად, რომლებიც მისი აზროვნების მილმა თამაშდებოდა და სინანულს გამოთქვამს დაკარგული დროის გამო. მისასალმებელია, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. ავტორი მიზეზებსაც იკვლევს:

მე კი მგონია მიზეზი<br>
ჩვენში სისხლის ღვრის, სიმხეცის<br>
ბრალია უზნეობის და<br>
პოლიტიკური სიბეცის

მკითხველისათვის ალბათ გაუგებარი დარჩა ერთ ინტერვიუში ამ სიტყვების მოსმენა და ჩემს სატელევიზიო იტერვიუზე ბ-ნი რუსლანისეული პაროდიის მოყვანა რა გამოვიდა: ბატონი რუსლანი დამცინის მასზედ, რასაც ადრე ვაშბობდი და რასაც იგი ახლა მიხვდა? ეს ჩემთვისაც გაუგებარია, მაგრამ არ ვდაობ და სათავეს ვეძებ, რადგან სხვა მხრივ აბსურდი გამოდის.

ხადაო სხვა მოსაზრებაში მაქვს:

„აქ ხდება ძალიან მძიმე დანაშაული-უნდათ პატრიოტებში ჩაკლან თავდადება, თავგანწირვა, თუნდაც სამშობლოსათვის ჯვარცმის სურვილი.“ — ამბობს, ჩემთვის ყოველნაირად გაუმართლებელ მოსაზრებას, ავტორი.

ჩემი სატელევიზიო ინტრევიუ ძირითადად მიმართული იყო ამ პათეტიკური, თეატრალიზებული ტრაგიკული პოზის წინააღმდეგ, რომლის ერში გაღვივებამ ზემოდაღწერილი მეთოდებით მოიტანა 9 აპრილი და სამოქალაქო ომი, მაშინ როდესაც საქართველოში მიმდინარე პროცესები მთლიანად დამოკიდებულია სხვა ტერიტორიალურ სივრცეში მომხდარ მოვლენებზე. ეს არის პოლიტიკური ბანაკისაგან დამოუკიდებელი ნამდვილი ეროვნული მოძრაობის, შინაგანი განთავისუფლების საწინააღმდეგო ლოზუნგური, მიტინგური და დამღუპველი კონცეფცია და ფაქტიურად მოწოდებაა ერის ფიზიკური უაზრო წინააღმდეგობისაკენ, მაშინ როდესაც ჩვენთვის სასარგებლო მოვლენები გაცილებით სწრაფად მიმდინარეობენ, ვიდრე ჩვენ ვასწრებთ მათზე რეაგირებას.

თქვენ ბრძანებთ — „უზნეობამ დაგვღუპაო“. ეგ აზრი, მე, თქვენი ინტერვიუდან არ აღმომიჩენია. ადრე სხვა მასწავლებელი მყავდა და თქვ... შედარებით გაცილებით ცუდი რეპუტაცია ჰქონდა ქალაქში. იმისგან ვიცი.

მაშ ასე, აღმოვაჩინეთ „ინტელექტუალური ტერორისტი“, რომელიც არავითარ იურიდიულ კანონმდებლობას არ ექვემდებარება ჩვენს უზნეო ქვეყანაში. ამიტომაც არიან ასე გათამამებულნი. როგორც იურისტები ამბობენ „პრაქტიკაში პრეცენდენტი არ ყოფილა“. ისე კი ერთი ორი რომ გაგვეტყავებინა, იქნებ სხვა საქმიანობისთვის მოეკიდათ ხელი და სხვისთვისაც ცუდი მაგალითი არ იქნებოდა. თუმცა პროკურატურა ახლა უფრო ტერორისტებით არის დაკავებული.

მკითხველისათვის მიგვინდია თუ რომელი კატეგორია უფრო საზიანოა საზოგადოებისათვის, ტერორისტი თუ ინტელექტუალური ტერორისტი. ორივე უზურპატორია, ორივე შიშის გრძნობას იწვევს საზოგადოებაში, ორივე ცდილობს რაღაცა წაგართვას, დაგიკარგოს ორივეს თავისი უფლებამოსილების ზონა აქვს მოზომილი და მისაკუთრებული. განსხვავება მხოლოდ ერთშია პირველი მენტალურ, აზრობრივ სფეროში მოქმედებს, მეორე კი მატერიალურში. პირველი საკუთარი აზრის ქონებას გიკრძალავს, მასთან ყველაზე მდაბალი მეთოდით: დამცირებით, გამასხარავებით, ქილიკით. მეორე მატერიალური ქონების გამოყენების, საკუთრების ხმარების საშუალებას არ გაძლევს, სიცოცხლეს ემუქრება, პირველი სიცოცხლის აზრს.

„ინტელექტუალური ტერორის“ მეთოდმა, რომელსაც იყენებდა ეროვნული მოძრაობა თავიდანვე ხმა ჩაუწყვიტა ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელსაც მრავალი სიკეთის მოტანა შეეძლო სამიტინგო, ბუნკერული თუ მეგაფონური წივილ-კივილის გარეშე. მხედველობაში მყავს თავისუფალ მოქალაქეთა კასტა, რომელთა კისერზე გადავიდა კომუნისტური რეჟიმის მთელი სიმძიმე, რომელმაც გერმეტული წინააღმდეგობა გაუწია კომუნისტებს მათთან თანამშრომლობაზე უარით და საზოგადოების ნაღებად ითვლებოდა ყველა დროს. ჭკვიანი, ნიჭიერი, უნარიანი, უბრალო, პატიოსანი და მოკრძალებული სპეციალისტები, რომელთაც ფაქტიურად უნდა დაყრდნობოდა ეროვნული მოძრაობა ისეთივე იზოლაციაში აღმოჩნდა, როგორც კომუნისტების დროს, აღარ იცოდა სად წასულიყო და თავის ნიჟარაში შეიყუჟა, წითლად გადაღებილმა პრაქტიკოსებმა საღებავი ჩამოირეცხეს, ამათ ისინიც დაგმატნენ, ვისთვისაც ე.წ. „კომუნისტებმა“ საღებავი ვერ გაიმეტეს, ეროვნულები შემოირქვეს და ფერხული გააჩაღეს. ეს თვისება თავისუფალ მოქალაქეთა კასტას არ ახასიათებდა და ეროვნულ ინტერესებს პატივმოყვარეობაზე მაღლა აყენებდა. სად არის ახლა ეს ხალხი, რომელსაც ყველაზე მეტად უხაროდა იმპერიის რღვევა, კომუნისტური დემაგოგიის კრახი. მათ თავისი ერთადერთი, ზნეობრივი უპირატესობის ხალხის სამსახურში ჩაყენების ყოველნაირი საშუალება მოუსპო „ინტელექტუალურმა ტერორმა“ მთლიანად გააქარწყლა მათი როლი, დააფრთხო და ეროვნულ-დეკლარაციული ახალი დემაგოგიით შესცვალა, პროპაგანდისტული ლოზუნგებით ერი პოლიტიკური ისტერიის ზღვარზე მიიყვანა და საბოლოოდ განწირული კრიტიკულ მომენტში მიატოვა.

ეს არის ის მანკი, რომლითაც დაავადებულია ჩვენი საზოგადოება მთლიანად, არის ყველა ჩვენთან დატრიალებული მოვლენების პირველი ხელისშემწყობი მიზეზი, გარდუვალი კონფლიქტების წყარო. ეს არ არის არც პაროდია და ჯანმრთელი იუმორი.

ეშაფოტზე აგებული, ვერცხლის ქაღალდში გახვეული შავი პოლიტიკური ბრალდება, დასმენა. ეს არის „ინტელექტუალური ტერორის“ მიზანი, შესაბამისი საზოგადოების მიერ ოვაციებითა და ხარხარით ნაპატივები, ნარკომანიაში გადასული ეროვნული უბედურება და ტაშით გამოწვეული ცრემლი.

ახლა, ჩემო მკითხველო, როგორც შევიტყვეთ, ჩვენი დროის გმირები „რევოლუციისჯარისკაცობას“თავსანებებენ დასაყვარელ საქმიანობას-სპეციალობას უბრუნდებიან სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, ცოტა იმედგაცრუებულნი და ზოგიც გვარიანად გალახული ბარიერის მეორე მხრიდან იმდენად, რომ ვერასდროს ბუნკერიდან ველარ ამოვა.

ჰუმანიზმის, ეთიკის, ზნეობრივი საწყისების ჩვენი იდეოლოგები: ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, მწერლები, პროზაიკოსები, პოეტები, ბავშვთა სულის მესაიდუმლენი, იუმორისტები, პროვინციალური კომედიანტები, ლაზღანდარები და რევოლუციის ალტრუისტები ანუ „ინტელექტუალური ტერორისტები“, ვინც სული შეუბერა და გააღვივა უზნეობის შუაცეცხლი კოლხურ კოშკსა თუ ქართულ დარბაზში.

მიდიან, ჩუმად იპარებიან, იმედგადაკარგულები, მაგრამ თავაწეულები. მიდიან თითქოს ზარბაზნები მათ არ ესროლოთ, „კალაშნიკოვი“ არ ჩამოეკიდებინოთ, მოყმეთა და ვეფხთა დედანი არ აეტირებინოთ. თითქოს საქართველო მარტო ერთ კაცს სხვის დაუხმარებლად გაეხლიჩოს.

ხვალ, როდესაც კვლავ წამოიჩიტებიან და ისევ, მე და თქვენ, ზნეობაზე, ეთიკაზე და ჰუმანიზმზე ახალ ზღაპრებს მოგვყიდიან, ვინლა უნდა შესთხოვოს შენდობა ქართლის დედებს. ალბათ ისევ ჩვენ!

# საქართველოს არმიის ოფიცერი

არმიის არსებობა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ძირითადი გამომხატველი ნიშანია. საქართველოსთვის, გამომდინარე მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, ძლიერი, პროფესიონალური, თუნდაც რიცხობრივად მცირე არმიის არსებობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ჯარების ფორმირების სისტემების სხვადასხვაობისა, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევის წინაშე დღეს საქართველოს მთავრობა დგას, მთავარ პრობლემას არმიისთვის კომპეტენტური კადრების შერჩევა და აღზრდა წარმოადგენს.

ოფიცერი ლათინურად თანამდებობის პირს ნიშნავს და პირველად ის დაქირავებული არმიის საჯარისო მეთაურებს უწოდეს. თანამედროვე არმიის ოფიცერი მაღალი მორალური თვისებების მქონე და თავისი საქმის სპეციალისტია: დაუფლებულია სამხედრო ხელოვნების საფუძვლებს; ერკვევა თანამედროვე შეიარაღებასა და ტექნიკაში, სადაზვერვო-ოპერატიულ მუშაობაში; აქვს სათანადო ფიზიკური მომზადება; არის კარგი ორგანიზატორი, ფსიქოლოგი და პედაგოგი, როგორც წესი, ფლობს ერთ-ერთ უცხო ენას და საერთაშორისო ეტიკეტს; ოფიცერს ახასიათებს რისკის, საფრთხის, პანიკისა და შიშის მიმართ ემოციური მდგრადობა, თვითრეგულაციის უნარი; ოფიცრის მომზადების დონე უზრუნველყოფს სამსახურებრივი მოვალეობის დროს შექმნილი მდგომარეობის სწორად აღქმას და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინების საფუძველზე საკუთარი ქვეგანაყოფის მოქმედების დაგეგმვას.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ოფიცრის მომზადების კულტურამ და პირადმა ღირსებამ განაპირობა მათ მიმართ საზოგადოების მაღალი ნდობა. იმედია, მომავალში საქართველოს არმიის ოფიცერი ასევე საამაყო იქნება თავისი ერისათვის.

ოფიცრისათვის აუცილებელი ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება შესაძლებელია მხოლოდ ფუნდამენტალური მეცნიერებების, სამხედრო ხელოვნების დარგში ღრმა განათლებისა და სპეციალური ფსიქოლოგიური მომზადების საშუალებით. გარდა ამისა, იმ ოფიცრებისათვის, რომლებიც ახლო მომავალში იმსახურებენ საბაჟოზე და სასაზღვრო ჯარებში, აუცილებელია შესაბამისი ცოდნა ხელოვნებაში, არქეოლოგიაში და კრიმინალისტიკაში და ა.შ.

ჩემის აზრით, თავდაცვის სამინისტრომ ჯერ უნდა გადაწყვიტოს ჯარების ფორმირების სიტემის შერჩევა და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს არმიის მოთხოვნა ოფიცრებზე; დაადგინოს სწავლების პროფილი და სპეციალობები; შეიმუშაოს კრიტერიუმები ოფიცერთა ცოდნის და მომზადების შეფასებისათვის; შექმნას შესაფერისი მატერიალური ბაზა.

ამ კომპეტენციებიდან უნდა გამოვყოთ ოფიცერთა სპეციალობების დადგენა და მომზადების დონის განსაზღვრა, რადგან ეს არის სახელმწიფო შეკვეთა სამხედრო უმაღლესი სასწავლებლისათვის.

ვფიქრობ სასურველი იქნება თუ სამხედრო სასწავლებლის კომპეტენციაში შევა: სასწავლო პროგრამების, სწავლების მეთოდებისა და შინაგანაწესის შემუშავება; მეცადინეობისათვის მატერიალური ბაზის განსაზღვრა; ჩასარიცხ კანდიდატთა შერჩევა და ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა — ოფიცრებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შექმნა.

სპეციალისტების ჯგუფში, რომელიც სათავეში ჩაუდგება სასწავლებლის შექმნისა და სწავლის პროცესის ორგანიზებას, უნდა გაერთიანდნენ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირები. მათი ერთობლივი მუშაობის მიზანი უნდა იყოს სამხედრო და სამოქალაქო სასწავლო პროგრამების მაქსიმალური შეფარდება. ამისათვის ჯგუფს დასჭირდება სამხედრო დარგში არსებული საყოველთაო გამოცდილების და სასწავლო პროგრამების შემუშავების თანამედროვე მეთოდების შესწავლა; საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლება; სახელმწიფოს მხრიდან შესაფერი ფინანსური უზრუნველყოფა; მუშაობაში პოლიტიკური პარტიების ჩაურევლობის გარანტია.

ეროვნული სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესის ორგანიზაციას და მატერიალური ბაზის შექმნას დიდძალი სახსრები სჭირდება. სახელმწიფო ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტის დროს ეს მთავარი პრობლემაა, მაგრამ ვფიქრობ, აქ პრიორიტეტის პრინციპი უნდა ამოქმედდეს. ხოლო სამომავლოდ, საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით მოქნილი საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება საშუალებას მისცემს სახელმწიფოს წარმატებით გადაწყვიტოს სასწავლებლის და საერთოდ არმიის დაფინანსების პრობლემა.

ამ სამუშაოების ჩატარება მინიმუმ ერთ წელს მოითხოვს, თვით სასწავლო პროცესი — ოთხ-ხუთ წელიწადს, ე.ი. საქართველო ეროვნული სამხედრო სასწავლებლის პირველ გამოშვებას დაახლოებით ექვსი წლის შემდეგ შესძლებს. მანამდე კი თავდაცვის სამინისტრომ საბჭოთა არმიის თადარიგის ოფიცერთაგან უნდა შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატურები (ასაკის, სამხედრო სპეციალობის და წოდების მიხედვით) და მიიწვიოს ისინი სასაუბროდ. ის ოფიცრები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს მონაწილეობა მიიღონ არმიის შექმნაში, გაივლიან ატესტაციას. შერჩეული კანდიდატებისათვის აუცილებელია გადამზადების მოკლევადიანი კურსების ორგანიზება. ამ კურსებზე ოფიცრები აიმაღლებენ სამხედრო ცოდნის დონეს; შეისწავლიან ხელმძღვანელობის ხელოვნებას, პედაგოგიკას და კომპიუტერულ ტექნიკას მათთვის საჭირო ფარგლებში. გადამზადების კურსები ხელს შეუწყობს საბჭოთა აზროვნებისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპების დანგრევას.

რამდენიმე ათასი შეიარაღებული კაცი ჯერ უიდევ არ არის ჯარი. მისი შექმნა დიდ ინტელექტუალურ ძალებს მოითხოვს. დილეტანტიზმი საქმიანობის ყველა სფეროში დამღუპველია, სამხედრო საქმეში განსაკუთრებით.

გია ივანიშვილი

საქართველო - ყოველკვირეული გაზეთი

## ვახტანგ სალია:

# სკოლის კრიზისის თავიდათავი აღზრდის სისტემის კრიზისია

**ჩ**ვენს კორესპონდენტს განათლების საკითხებზე ესაუბრება თბილისის მე-40 საშუალო სკოლის ახალგაზრდა დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მთარგმნელი **ვახტანგ სალია.**

**— ბატონო ვახტანგ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ათი წელი მეცნიერულ და მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდით. ამ სამიოდე წლის წინათ პედაგოგიურ ასპარეზზე აღმოჩნდით. მოგეცათ შესაძლებლობა, შიგნიდანვე დაგენახათ სკოლის ავ-კარგი. რა დასკვნამდე მიხვედით?**

— თავიდანვე უნდა აღვნიშნო: ჩემი შეხედულებანი ნუ იქნება გაგებული ჭეშმარიტ განზოგადებად, რადგანაც ისინი მხოლოდ მცირე პრაქტიკის შედეგია.

საქართველოს სასკოლო სისტემა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. შენობათა დიდი ნაწილი ვერ პასუხობს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, მათში მოსწავლეთა მიღება დღითიდღე რთულდება;

სკოლის ტექნიკური აღჭურვილობა აშკარად არ შეეფერება თანამედროვეობას;

ჰუმანიტარული ციკლის სახელმძღვანელოები გაჟღენთილია 1825-1828 წლებში ფ.გიზოსა და ა.ტიერის მიერ მეცნიერებაში შემოტანილი კლასთა ბრძოლის თეორიის ბოლშევიკური ინტერპრეტაციის იდეებით;

ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო დისციპლინების სახელმძღვანელოები უმეტესად სხვა ენებიდანაა თარგმნილი.

მასწავლებელი დამცირებულია.

მოსწავლეები არსებული-აღზრდის სისტემის მიერ კვლავაც განწირულნი არიან. იქცნენ კოლექტივის მსახურებად, შრომას მიუჩვეველ, იდეოლოგიზებულ ადამიანებად.

**— ე.ი. საბჭოთა სკოლას ყავლი საბოლოოდ არ გასვლია.**

— დიახ. ცალკეული კოსმეტიკური ცვლილებები, რაც უკანასკნელ წლებში ხდებოდა, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლიდა აღზრდის არსს. საბჭოთა სკოლა ტოტალიტარული რეჟიმის პროფესიონალების მიერაა შექმნილი და დახვეწილი.

კომუნისტური მსოფლმხედველობისა და ზნეობის ჩამოყალიბება სკოლებში მხოლოდ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ან კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის" საშუალებით კი არ ხდებოდა, არამედ ე.წ. ახალი ადამიანის შექმნის მექანიზმი გაშლილი იყო მთლიანად სასწავლო და აღმზრდელობით პროგრამებში. ეს მექანიზმი დღეს, ჩვენი წაყრუებით, მართალია, შედარებით სუსტად, მაგრამ მაინც მოქმედებს.

**— რას იტყვით განათლების სისტემის ახალი მოდელის, პროფილური, სხვადასხვა კლასებში ამა თუ იმ საგნის დიფერენცირებული სწავლების შემოღებით მოსალოდნელ რეფორმაზე?**

— თქვენს მიერ ჩამოთვლილ სავარაუდო ცვლილებებზე ფიქრი, უეჭველია, აუცილებელია და მათი დანერგვით კარგ შედეგებსაც უნდა ველოდოთ, მხოლოდ სიფრთხილის გრძნობა მეუფლება. მეშინია, ამგვარი მიდგომით განათლების სფეროს რეფორმაზე მსჯელობა პრობლემის არასწორად დაყენების ცდა არ გამოდგეს, რომელიც მოჯადოებულ წრეში მოქცევით გვემუქრება.

მხოლოდ განათლების სისტემის არსებული მოდელის შეცვლით არა მგონია, საქმე გამოსწორდეს. დღევანდელი სკოლის კრიზისის თავიდათავი აღზრდის სისტემის კრიზისია.

განათლების სფეროში რეფორმა უნდა დავიწყოთ უპირველესად სწორედ იმის გარკვევით, თუ ვინ უნდა აღვზარდოთ, როგორი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

პატივმოყვარეობის გრძნობის შელახვად ნუ მივიღებთ და ანბანური ჭეშმარიტებანი გავიხსენოთ. ჩვენ დღეს ვიწყებთ აღზრდის სისტემის მშენებლობას. შენობის აგება კი ბალავარის გათხრის გარეშე წარმოუდგენელია. ნუ შეგვეშინდება სინამდვილისა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. დავინახოთ, რაც დაგვამრთნია და არსებობისათვის ბრძოლის ძნელ აღმართს შევუყვეთ.

**— აღზრდის ამოცანად ყოველთვის მოსწავლის დამოუკიდებლობის იმ საფეხურამდე აყვანა ითვლებოდა, საიდანაც მას საშუალება მიეცემოდა აღესრულებინა დედამიწაზე ადამიანის დანიშნულება.**

**ხოლო, რადგანაც ადამიანის ფუნქციები სხვადასხვაგვარად იყო გააზრებული, აღზრდის მიზანიც შესაბამისად მრავალსახა გახლდათ. როგორი უნდა იყოს საქართველოში აღზრდის იდეალი?**

— აღზრდის იდეალი შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა განისაზღვროს სულ ცოტა ოთხი მიმართულებით მაინც.

პირველი: უნდა შევიმუშაოთ ფიზიკურად ნორმალურად განვითარებული ადამიანის მოდელი, რომელსაც ფიზიკური აღზრდის იდეალად დავსახავთ.

ამჟამად არსებული ფიზკულტურული ნორმატივებით მოსწავლეთა აღზრდა მილიტარისტულ მიზნებს ისახავს.

საჭიროა მედიკოსების, ფიზიოლოგების, ჰიგიენის სპეციალისტების გაერთიანება ფიზიკურად ნორმალურად განვითარებული ადამიანის მოდელის შესაქმნელად და მათი კომპეტენტური რეკომენდაციების საფუძველზე ფიზიკური აღზრდის პროგრამის შემუშავება.

მეორე: უნდა განისაზღვროს ის ზნეობრივი იდეალი, რომელამდისაც აღმზრდელმა უნდა მიიყვანოს აღსაზრდელი.

ამ იდეალის მოდელის შესაქმნელად საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლების გაერთიანებაა საჭირო და მხოლოდ ამ გზით შემუშავებული მოდელი უნდა აისახოს ჰუმანიტარული ციკლის სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში.

მესამე: უნდა დადგინდეს გონებრივი იდეალი, რომელსაც უნდა მიაღწიოს აღსაზრდელმა.

მკაფიოდ უნდა განისაზღვროს თითოეული სასკოლო დისციპლინის სისტემატიზირებული ცოდნის მოდელი. მიზანშეწონილია გონებრივი იდეალის დადგენისას სირთულის მიხედვით რამდენიმე დონის მოდელის შექმნა, რაც განპირობებულია ამ სფეროზე უამრავი ფაქტორის ზემოქმედების განსაკუთრებული სიძლიერით.

გონებრივი იდეალის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ეთნიკური, სოციალური, ბიოლოგიური და სხვა წანამძღვრები.

მეოთხე: უნდა განისაზღვროს ის სოციალურ-პოლიტიკური იდეალი, რომლის დონემდე უნდა მივიყვანოთ აღსაზრდელი.

**— პიროვნების სოციალურ-პოლიტიკური იდეალის მოდელის შექმნა რა აუცილებლობითაა გამოწვეული?**

— ცრუთანასწორობის საზოგადოებიდან ნორმალური სოციალური ურთიერთობების პირობებში გვეღირსა ცხოვრება, სულ მალე გამოჩნდება სხვაობა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. საზოგადოების მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია, რა თქმა უნდა, მოზარდ თაობაზეც გავრცელდება. სოციალური და კლასობრივი განსხვავებების ნიადაგზე მოსალოდნელი გაუცხოება ამთავითვე უნდა ავიცილოთ თავიდან. მით უმეტეს, რომ თანამედროვე ქართველთა დიდი ნაწილის ცნობიერებაში ჯერ კიდევ არსებობს კლასობრივი შეურიგებლობის სინდრომი.

ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება გერმანელი მეცნიერის თეოდორ ვილჰელმის ახალგაზრდობის სოციალური თანამშრომლობის სულისკვეთებით აღზრდის თეორია, რომლის ამოსავალი წერტილია იმგვარი ადამიანი, რომელსაც, სოციალური და კლასობრივი განსხვავების მიუხედავად, ურთიერთნდობის, კომპრომისების და ურთიერთშემწყნარებლობის ჩვევები უნდა გავუღვივოთ.

საქართველოში უნდა აღიზარდოს თაობა, რომელსაც სოციალური თანამშრომლობა ძალუძს. ადამიანებს არ შეუძლიათ არსებობა ერთმანეთის, პარტნიორის მხარდაჭერის გარეშე.

ძალზე მნიშვნელოვანია პიროვნების ქართული სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების შინაარსის განსაზღვრა;

გასარკვევია, ჩვენი აღსაზრდელი უნდა იყოს თუ არა ზეეროვნული პიროვნება, პიროვნება რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისის კუთვნილება ქართველობისადმი, მაგრამ აზროვნებს უფრო ფართოდ, ვთქვათ ევროპულად.

სახელმწიფოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაცია ცხადყოფს, რომ ჩვენ სასწრაფოდ უნდა ვისწავლოთ მშვიდობისმოყვარეობა.

ყოველგვარი საშუალებებით უნდა აღვზარდოთ თაობა, რომელსაც ეყოფა ვაჟკაცობა ადამიანებს შორის გაჩენილ უფსკრულს გადააბიჯოს და გონიერი ასპარეზობით მიაღწიოს შერიგებას.

უნდა ვიცოდეთ, რომ საომარ კონფლიქტში ყველა დამნაშავეა, ხოლო ზიზღისა და ძალადობის მიზეზია ეროვნული და იდეოლოგიური შეცდომები.

ცრურწმენები და კლიშე, ჰიპერტროფირებულ-პატრიოტული, ეროვნული, იდეოლოგიური წინასწარშექმნილი ცუდი წარმოდგენები, რომლებიც აყალიბებენ სრულიად მცდარ წარმოდგენას მტერზე, აუცილებლად უნდა შეიცვალოს იდეოლოგიისადმი სკეპტიკური და კრიტიკული დამოკიდებულებით.

დღეს საქართველოში არსებული კონფლიქტების [illegible] წევა მოქნილი ც[illegible]ლიბება. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკურ სიგიჟემდე მივალთ.

უნდა გვეყოს ვაჟკაცობა ჩვენზე სუსტებს მოვეფეროთ და დავეხმაროთ. ვიყოთ ღირსეული მემკვიდრენი ჩვენი წინაპრების რაინდული სულისა...

**— ამგვარი მიდგომა პრობლემისადმი დიდ დანახარჯებთან ერთად დროსაც მოითხოვს. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს კი, რომელსაც გაცნობიერებული აქვს დღევანდელი რეალობები, სურს ახლავე მისცეს თავის მომავალ თაობას შესაფერისი აღზრდა. რა გზას დავადგეთ?**

საქართველოში იყვნენ და დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც მიზეზთა და მიზეზთა გამო არ მოქცეულან ტოტალიტარული სახელმწიფოს განათლების სისტემის მარწუხებში. ისინი, ქართული ფოლკლორის, ლიტერატურის, პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის, ოჯახის მეშვეობით, ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე აღზრდილნი, მუდამ ერის ღირსეულ ტრადიციებს აგრძელებდნენ. მათ ინდივიდუალურ ინტელექტუალურ პოტენციალს ძალუძს კერძო სკოლების დაარსება და გაძლოლა.

თუ ჩვენ გვსურს 1992 წლის სექტემბრიდან საქართველოში რამდენიმე თანამედროვე სასწავლებელი მაინც გვქონდეს, ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი კერძო სკოლების შექმნას და ფუნქციონირებას. მასწავლებელს ასევე უნდა მიეცეს უფლება სახელმწიფო სკოლის სტრუქტურაში მოახდინოს თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაცია დამატებითი ანაზღაურების მიღების გზით.

ესაუბრა

ეკა მისაბიშვილი

# კვლავ ანტიზვიადიზმზე

ჩვენ ერთ-ერთ წერილში აღვნიშნეთ, რომ ანტიზვიადიზმი ცნობიერების ისეთივე საშიში სენია, როგორც ზვიადიზმი.

იძულებულნი ვართ კვლავ დავუბრუნდეთ ამ არცთუ სასიამოვნო თემას.

როგორც ეტყობა, საქართველოში ანტიზვიადიზმით ბატონ გამსახურდიას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე მეტად პრესისა და ტელევიზიის ზოგიერთი წარმომადგენელი „იტანჯება". იმდენად ძლიერია მათი სურვილი პრეზიდენტის სახელის წალმა-უკულმა ტრიალით თავის გამოჩენისა, რომ თავადვე ვარდებიან უხერხულ სიტუაციაში.

მოვიტან ორ მაგალითს.

გაზეთ „ერთობის" ერთ-ერთ ბოლო ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ ქალბატონ ირინა სარიშვილთან. ინტერვიუ ქალთა დღესთან იყო დაკავშირებული და, ძირითადად, ქალბატონ ირინას პიროვნების უკეთ გაცნობას ისახავდა მიზნად. მაგრამ კორესპონდენტმა, სჩანს, ვერ გაუძლო ცთუნებას, მის წინ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე რომ იყო და ნერვებმა უმტყუნეს. შუა საუბარში, არც აცია, არც აცხელა და, როცა ი.სარიშვილი ყვებოდა, უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ლიტერატურის ფაკულტეტი დავამთავრეო, — მოულოდნელად შეაგება: როგორც ზვიად გამსახურდიამო?

შეკითხვა, რა თქმა უნდა, რესპონდენტის „ასალაპარაკებლად" იყო გათვლილი. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი წამოჭრა სრულიად ულოგიკო იქნებოდა, რადგან აღნიშნული ფაკულტეტი ბ-ნი ზვიადის გარდა, არა ერთმა ცნობილმა ადამიანმა დაამთავრა.

ქალბატონი ირინა მიხვდა ჟურნალისტის ოინებს, „თავი მოიზღუდა", მოკლედ მიუგო „ჰო" და სხვა თემაზე მოხერხებულად გადაიტანა სიტყვა.

მეორე მაგალითი საქართველოს ტელევიზიიდანაა.

საინფორმაციო პროგრამა „მაცნე" დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მისმა წამყვანმა უცნაური საპირველაპრილო ხუმრობა შესთავაზა მაყურებლებს. მასში, კერძოდ, საუბარი იყო რაღაც გვირაბზე, გროზნოდან ჰააგამდე რომ გაჭყავდათ და ვერ გაიყვანეს, შიგადაშიგ უჩვენებდნენ კადრებს ქართული ფილმიდან „საბუდარელი ჭაბუკი" და კიდევ ერთ-ერთ ქალბატონს, რომელიც გაფუჭებული პატეფონივით იმეორებდა: ჩამოვა ზვიადი და კანონიერებაც აღსდგებაო...

მიუხედავად იმისა, რომ სახეგაბადრულმა დიქტორმა გულმოდგინედ, მთელი თავისი არტისტიზმით წაიკითხა სათანადო ტექსტი, კაცი შვილი ვერ გაიგებდა, თუ რა სუფრაზე მოსატანი იყო ეს „ხუმრობა", ან საერთოდ რა ეხუმრებოდა იმ გადაცემის წამყვანს, რომელმაც მალთაყვაში შეიარაღებულ შეტაკებასა და ქართველების მიერ ერთმანეთის დახოცვის შემზარავი ამბავი ამცნო ქვეყანას.

ასეთი მაგალითების მოხმობა კიდევ მრავლად შეიძლება. მაგრამ, ვფიქრობთ, ვისაც გაგება უნდა ისედაც მიხვდება, რომ არის საკითხები, რომელთა შესახებ წერას და საუბარს დიდი ტაქტი და სიფრთხილე სჭირდება.

კობა ლიკლიკაძე

# სამაჩაბლო თანადგომასა და შველას ითხოვს

(დასასრული)

და ზიანი მიაყენა არა ერთხელ გამეორებულმა საშინელმა მიწისძვრამ. მთლიანად დაინგრა სოფელი ხეითი, ათობით სახლი საცხოვრებლად უვარგისი გახდა სოფლებში — თამარაშენში, ქვემო და ზემო აჩაბეთში, ქურთაში, კეხვში, ქემერტში, სვერში, ძარწემში და სხვა სოფლებში. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ შინაგანი ჯარების და ოსი ექსტრემისტების მიერ ბლოკადაში მოქცეულ ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებამდე ვერ აღწევს დახმარება.

სამაჩაბლოს ქართველ მოსახლეობას იმედი აქვს, რომ ამ უაღრესად ძნელბედობის ჟამს დახმარების ხელს გაუწვდის საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, სამთავრობო კომისია, მთლიანად საქართველო. დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს ღონისძიებები ამ რეგიონის სურსათით, პირველადი დახმარების საშუალებებით და მატერიალური დახმარების გაცემის უზრუნველსაყოფად. ფაქტიურად, რამოდენიმე თვეა სამაჩაბლოს ბლოკადაში მოქცეული მოსახლეობა რეგულარულად ვერ მარაგდება სურსათით, მოსახლეობა დარჩენილია ხელფასისა და პენსიების გარეშე. ყოველივე ამას უაღრესად ამძიმებს მიწისძვრის შედეგები...

სასოწარკვეთილი ხალხი შველას ითხოვს!

რეგიონში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მოშლილია ეკონომიკა: ცხადია ვერ ხორციელდება გეგმიური სამუშაოები, ვერ ტარდება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, უქმად რჩება მიწა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კაბინეტში შექმნილია „სამაჩაბლოს საკითხებთან დაკავშირებული სამთავრობო კომისია", რომელიც მოწოდებულია კონფლიქტის სამართლებრივ-მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის, მანვე კოორდინაცია უნდა გაუწიოს როგორც ლტოლვილთა სოციალური, მატერიალური, დროებითი შრომითი მოწყობის საკითხებს, ასევე რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის დახმარების საქმეს.

აღნიშნულმა კომისიამ დღემდე მიიღო მეტად მნიშვნელოვანი მიმართვები, სადაც ასახულია ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს სამაჩაბლოში მდგომარეობის სტაბილიზაციის, დაზარალებულთა და ლტოლვილთა დახმარების მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბევრი საჭირო ღონისძიება პრაქტიკულად ვერ ხორციელდება შექმნილი ბლოკადის გამო.

სამაჩაბლოს რეგიონის ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში დარჩენილი მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად შემოსავალს ხილის რეალიზაციით მიღებული თანხა წარმოადგენს. ვაშლის დამზადების სეზონის ბოლო ვადებია აპრილი და მაისი. იმის გამო, რომ მიმდინარე წელს კერძო სექტორში არსებული ხილის მოსავლის დამზადება ვერ ხერხდება, განადგურება ემუქრება ხუთი ათასზე მეტ ტონა კურკოვან ხილს. მის გადასარჩენად ოპერატიულად უნდა იქნეს მიღებული სამთავრობო ღონისძიებები. ხილის დამზადების საქმეში ძირითადი დამაბრკოლებელია თამარაშენი — ცხინვალის ორკილომეტრიანი გზის მონაკვეთი, რომელიც უკვე მეექვსე თვეა ყოფილ საბჭოთა შინაგან ჯარებს და ოს ექსტრემისტებს ქართული სოფლების ბლოკადის მიზნით უკავიათ.

სამაჩაბლოს ქართველობას კიდევ ბევრი სატკივარი აწუხებს. მაგრამ იგი ჭირნაცადი ხალხის ბუდეა და სჯერა, რომ მთელი საქართველო მას არ მიატოვებს.

პროფესორი

ქრისტო კახნიაშვილი



### ნუგზარ მხეიძე:

# სხვა ალტერნატივა ჩვენ არ გვაქვს

ჩვენს დუხჭირ და არეულ დროში, როცა ლამის არის საარსებოდ აუცილებელი რამეც კი სანატრელი გაგვიხდეს, ზოგჯერ მზის სხივივით შემოიჭრება სულში იმედი. იმედი ხვალის, იმედი იმისა, რომ სამომავლოდ ცხელი წყალიც გვექნება, გათბობაც, ელექტროენერგიაც, გაზიც და ცხოვრება თანდათან კალაპოტში ჩადგება.

იმედი კი ყოველთვის კონკრეტულ ადამიანებთანაა დაკავშირებული. დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ საუბარს ერთ ასეთ ადამიანთან, ქ.თბილისის გაზსადენების სამმართველოს უფროსთან, ბატონ ნუგზარ მხეიძესთან, რომლის სამსახურზეც დიდადაა დამოკიდებული ის ამბავი, გვექნება თუ არა თბილისელებს გაზი.

**— ბატონო ნუგზარ, მოგეხსენებათ, თუ როგორი ზამთარი გადავიტანეთ თბილისელებმა — არც გათბობა, არც დენი, არც გაზი, ბევრს გაუჩნდა მომავლის შიში. ამიტომ, მიუხედავად ჩვენი გაზეთის პოლიტიკური ხასიათისა, საჭიროდ ჩავთვალეთ თქვენთან საუბარი, მითუმეტეს, რომ ახლახანს, ძველი პერიოდული პრესის გადათვალიერებისას, ერთ ინფორმაციაში თქვენს გვარსაც წავაწყდი. გაზეთი იუწყებოდა, რომ 1959 წლის 29 იანვარს აზერბაიჯანიდან მოწოდებული ბუნებრივი გაზის პირველი ჩირაღდანი თბილისში თქვენ აგინთიათ.**

— როგორც იტყვიან, მას შემდეგ ბევრმა „გაზმა ჩაიარა“, ის დღე კი გუშინდელივით მახსოვს. დღეს ჩვენს მოსახლეობას წარმოუდგენლადაც კი მიაჩნია გაზის გარეშე არსებობა. თხევადი და მყარი საწვავის ბუნებრივი გაზით შეცვლამ, ატმოსფეროც გაგვისუფთავა და ბევრი ტყეც შემოგვინახა.

ყოველივე კი იმით დაიწყო, რომ საქართველოსათვის ამ ახალი დარგის პროექტების, მშენებლებისა და ექსპლუატაციის სპეციალისტების მომზადება განხორციელდა უკრაინის დედაქალაქში. კარგად მახსოვს, რომ კიევში, პირველსავე მეცადინეობაზე გვითხრეს: „გაზს თქვენობით უნდა მიმართოთ, მასთან ხუმრობა არ შეიძლება“.

თბილისის გაზიფიცირების პირველსავე დღეებიდან, ჩვენს მომავალ გაზის მომხმარებლებს სწორედ ამ შეგონებას ვუნერგავდით, რათა იმთავითვე ყველას გაეთვითცნობიერებინა, რომ გაზს სიკეთესთან ერთად, გაუფრთხილებლობისა და უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა უგულებელყოფის შემთხვევაში, დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

საუბედუროდ, ბევრი ჩვენი თანამოქალაქე ივიწყებს ამ ჭეშმარიტებას, რასაც უბედური შემთხვევები მოსდევს ხოლმე.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— ეს ვრცელი თემაა, დაწყებული პროექტებიდან და მშენებლობიდან, დამთავრებული უსაფრთხო ექსპლუატაციით. მიწისქვეშა გაზსადენების „დაუძინებელი მტერია“ მოხეტიალე დენები. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ერთ ამპერ დენს შეუძლია წელიწადში ცხრა კგ.ლითონის კოროზირება. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პირობებში აღმოჩნდებიან ის გაზსადენები, რომლებზეც ზემოქმედებს 200-300 ამპერის სიმძლავრის მოხეტიალე დენები.

პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მიწისქვეშა გაზსადენების საიმედოობის გარანტიას მისი მშენებლობის დროს უნდა ჩაეყაროს საფუძველი. თავდაპირველად ეს ასეც ხდებოდა. გაზსადენების მშენებლობას მხოლოდ სპეციალიზირებული ორგანიზაცია „თბილგაზმშენი“ აწარმოებდა. ხარისხს კი მშენებლებთან ერთად “თბილგაზის“ კოლექტივიც უზრუნველყოფდა, რომელიც ახორციელებდა უმკაცრეს ტექნიკურ ზედამხედველობას. „თბილგაზმშენის“ მიერ აშენებული გაზსადენები დღესაც ნორმალურად ფუნქციონირებენ, რასაც ვერ ვიტყვით ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ჩაწყობილ გაზსადენებზე.

ამ ბოლო ხანს სხვადასხვა უწყებათა დაკვეთით გაზსადენებს აშენებენ სოკოებივით მომრავლებული კოოპერატივები და ორგანიზაციები. ხარისხზე არავინ ზრუნავს. ლოჯომანიის ბუმმა ხომ კატასტროფამდე მიიყვანა ე.წ. ეზოს გაზშემყვანები. მრავალი მათგანი, (წყალსადენთან, თბოქსელთან და ელექტრო თუ სატელეფონო კაბელებთან ერთად) ზიანდება და საძირკვლებში ყვება.

ადრე რაიაღმასკომები, დღეს კი საკრებულოები სამშენებლო სამუშაოთა დაწყების ნებართვების გაცემამდე (ეს გარაჟებსაც ეხება და კერძო სახლებსაც) არ მოითხოვენ დამკვეთებისგან სათანადოდ შეთანხმებულ პროექტებს, არც სამუშაოთა შემსრულებლები იწუხებენ თავს მიწისქვეშა კომუნიკაციების მფლობელი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ადგილზე გამოძახებით. თუ თბილისის მერიამ ეს საკითხი კარდინალურად არ მოაგვარა, დავღუპავთ ქალაქს.

მე ისეთ საკითხებზე ვამახვილებ ყურადღებას, რომელთა მოგვარებას მხოლოდ ორგანიზებულობა და დაკისრებულ მოვალეობაზე პასუხისმგებლობა ესაჭიროება. რაც შეეხება მასალებს, სათადარიგო ნაწილებსა და საწვავის უქონლობას, ეს დღეს ყველას ერთნაირად უჭირს და ამაზე წუწუნი უადგილოდაც მეჩვენება.

ისე, ვისარგებლებდი შემთხვევით და მათ, ვისაც ეხება ქალაქის სამსახურების საწვავით უზრუნველყოფა, ვთხოვდი, რომ გაიაზრონ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს გაზის გადენის ლიკვიდაციის დროულად შეუსრულებლობას.

**— საერთო გასაჭირს რესპუბლიკისათვის გაზის მიწოდების შეზღუდვაც დაემატა. როგორც გავიგეთ, მომწოდებლებმა გაზის საფასური ასტრონომიულად გაზარდეს. როგორ ართმევთ თავს ამ სიძნელეებს?**

— გაზის მიწოდების შეზღუდვის პირობებში ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა როგორმე მინიმალური ოდენობით მაინც უზრუნველვყოთ მოსახლეობისა და პურის ქარხნებისათვის გაზის მიწოდება. სამისოდ გაზის მარეგულირებელი დანადგარები ხელით მართვაზე გადაგვყავს. ასეთი დანადგარი ქალაქში 800-ზე მეტია და ბუნებრივია, ყველას გადაყვანა ხელით მართვაზე პრაქტიკულად შეუძლებელია. აქ ზოგი „აქტიური“ მოქალაქე „გვეხმარება“, გვიმტვრევს სარეგულატორო პუნქტის საკეტებს და თვითნებურად ალებს სათადარიგო ჭოქების ურდულებს, რის შედეგადაც წნევის ავტომატური რეგულირება ვეღარ ხდება და მისი მომატების შემთხვევაში (განსაკუთრებით ღამის საათებში) მომხმარებლამდე დაუშვებელი სიდიდის წნევის მქონე გაზი მიდის, ეს კი ხანძრებსა და აფეთქებებს იწვევს. ამ „არამკითხე დამხმარეებს“ ვურჩევდი დავაფიქრებინე?, რომ უმჯობესია უგაზოდ ყოფნა, ვიდრე საერთოდ უსახლკაროდ დარჩენა. ამ მხრივ ძალიან სცოდავენ დიდი ლილოს, გლდანის, ოქროყანის, დიღმისა და თბილისის ზოგიერთი უბნის მცხოვრებნი.

რაც შეეხება გაზის შესასყიდი ფასის მომატებას, მოსახლეობას იგი ადრეც ორჯერ უფრო იაფად მიეყიდებოდა, ვიდრე ჩვენ ვუხდიდით მომწოდებელს. ზარალს მრეწველობისთვის მიყიდული გაზის საფასურის ამონაგებით ვფარავდით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ ასეთი „გამოსავალი“ აღარ გვექნება. ჯერ საბოლოოდ არ დადგენილა გაზის შესასყიდი ფასი, მაგრამ მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ იგი საგრძნობლად, მე ვიტყოდი, კატასტროფულად გაიზრდება და მოსახლეობის დასაცავად ხელისუფლებამ ამთავითვე უნდა იზრუნოს.

**— ბატონო ნუგზარ, მოგეხსენებათ, რომ ჩვენში დღეს პოლიტიზირებულია ყველა — დიდი და პატარა. საქმის კეთების სურვილს კი ცოტა თუ ამჟღავნებს. რას ფიქრობთ დღევანდელობაზე და საერთოდ, რა გადაგვარჩენს?**

— ის, რაც თავს დაგვატყდა, (ვგულისხმობ დეკემბერ-იანვრის ამბებს) ყოველი ჩვენგანის ბრალია. მტყუან-მართლის გარჩევის დრო არ დაგვრჩა. ლაყბობის პერიოდი დასრულდა. საქმეა საკეთებელი და იმის მტკიცების დრო არ არის, თუ ვისი პარტია გაიყვანს სწორ გზაზე საქართველოს და ვისი — არა. არა მგონია საქართველოს ასარჩევად ჰქონდეს იმდენი გზა, რამდენიც პარტია გვყავს დღეს. ჩვენი გზა ორია — ან გადარჩენა, ან გადაშენება. ვისაც ქვეყნის გადარჩენა უნდა, ის ხელისუფლების გვერდით უნდა დადგეს და მუხლჩაუხრელად აკეთოს თავისი საქმე. სხვა ალტერნატივა ჩვენ არ გვაქვს.

**— როგორ ფიქრობთ, გვექნება თუ არა მომავალ ზამთარს გაზი?**

— რესპუბლიკისა და თბილისის გაზით მომარაგება ბევრ რთულ პრობლემასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მე მწამს, რომ ხელისუფლება და ამ დარგის სპეციალისტებიც ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ გაზით მომარაგების მხრივ უკეთესი პირობები შეუქმნან მოსახლეობას.

**— გმადლობთ საუბრისათვის და გისურვებთ წარმატებებს თქვენს რთულ და საპატიო საქმეში.**

ესაუბრა
სერგო ჯანაშია

### ჯოხარ დუდაევი:

# საქართველოში დემონსტრანტებს ესროლეს

გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მიმდინარე წლის 29 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ჯოხარ დუდაევთან. გთავაზობთ ზოგიერთ ადგილს ამ ინტერვიუდან.

კორ.:

**— ინფორმაციის საშუალებებში აღინიშნა, რომ თქვენ ჩეჩენი ხალხის მტრებად გამოაცხადეთ ხასბულატოვი, ასლახანოვი და სხვები და მოუწოდეთ ხალხს მათი ფიზიკური განადგურებისაკენ.**

ჯოხარ დუდაევი:

— ეს ყველაფერი მოგონილია და ჭორია. განა შეიძლება დაუჯერო ყველაფერს, რასაც ცენტრალური ტელევიზია და პრესა გადმოსცემს?

კორ.:

**— ამავე დროს თქვენ მშვიდად ხვდებით ადგილობრივი პრესის პუბლიკაციებს, რომელთა ავტორები ხშირად ისეთ რამეს წერენ თქვენზე, რომ... არ გაგჩენიათ სურვილი, რბილად რომ ვთქვათ, დაგეტუქსათ ოპოზიცია?**

ჯოხარ დუდაევი:

— თუ ყოველი სტატიის, ყოველი გამონათქვამის შეგეშინდება, მაშინ ეს რაღა დემოკრატია და რაღა ხელისუფლებაა? ჩემთან მოდიან, ინფორმაციას მაწვდიან: ამან ასე თქვა, იმან ასე დაწერა, პროკლამაციურ ფურცლებსაცავრცელებენ. მე მათ ვეუბნები: თუ ისინი ამას თვითონ არ გააკეთებენ, მაშინ ჩვენ, ხელისუფლებამ უნდა ვთხოვოთ მათ ამის გაკეთება. ნახოს ხალხმა, ვინ ვინ არის და თვითონ შეაფასოს მათი მოქმედება.

მოვლენ აგრესიული ძალები, რომლებიც თავიანთ გზაზე ყველაფერს გაანადგურებენ, მათ შორის ოპოზიციონერებსაც და მათ ოპონენტებსაც. ამჟამად კი ოპოზიციონერები ჩხეინად გრძნობენ თავს, ამბობენ ყველაფერს, რაც კი თავში მოუვათ. აი, მაშინ კი, თუ სხვა ძალები მოვლენ, ეს მათი ტრაგედია იქნება. ამიტომ, ჩემი მოწინააღმდეგეთანაც, ეს ხომ ოპოზიცია არაა, მას ხომ არავითარი პოზიცია არ გააჩნია. მე ვთვლი, რომ ამ ოპოზიციას არავითარი ძალა არა აქვს. სხვა საქმეა, რომ ყველაფერ ამის უკან დგას დიდი სურვილი ჩემი ფიზიკური მოსპობისა, რისთვისაც, დარწმუნებული ვარ, მოსკოვი არაფერს დაიშურებს. მაგრამ მე მეცოდება ისინი, ვინც მოსკოვის დაკრულზე ცეკვავს. ბისთვის უმჯობესია მე გამიფრთხილდნენ. არა, ჩემთვის დიქტატორული მეთოდები მიუღებელია. ის, ვინც თავის სიმართლეში დარწმუნებულია, აკრძალვებით, ფიზიკური ძალადობით თავს არ შემოიფარგლავს. მე ჩემი პროგრამის მწამს, შევადარე იგი საერთაშორისო სამართალსაც. ჩემი იარაღია კანონი და დემოკრატია იმ დონეზე, რა დონეზეც შეიძლება ეს საზოგადოებაში.

კორ.:

**— ხომ არ განვითარდება ჩეჩნეთშიც სიტუაცია ქართული ვარიანტის მიხედვით?**

ჯოხარ დუდაევი:

— ალბათ, არა. საქართველოში დემონსტრანტებს ესროლეს. ჩვენთან ეს აბსოლუტურად შეუძლებელია. აქ ვიღაცის მოკვლით შენ კლავ შენს თავსაც და შთამომავლობასაც. ათასი წელი გავა და მკვლელს არავინ აპატიებს. ქვეყნიდან ამოთხრიან, მთელი გვარი ეცდება შური იძიოს.

კორ.:

**— ჩეჩნეთის რევოლუციას, როგორც ცნობილია, ეროვნულმა ინტელიგენციამ მხარი არ დაუჭირა. იგი დღესაც ოპოზიციაშია. ასეთი დამოკიდებულებით ეროვგვარად ხომ არ აფასებს ჩეჩენი ერის ინტელექტუალური ნაწილი სექტემბრის რევოლუციის შედეგებს?**

ჯოხარ დუდაევი:

— საქმე სხვა რამეშია. ვერძოდ, ფსიქოლოგიურ კომპლექსში, რომელიც გააჩნია დღეს ჩვენს ინტელიგენციას. ბევრს სისტემამ არ დაუტოვა შანსი ყოფილიყო პატიოსანი. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის ლექტორს: მან ან უნდა იმათხოვროს, ან ქრთამი აიღოს. ასეა სხვებიც. ცოტაა ისეთი ჩვენს საზოგადოებაში, ვისაც ქრთამი არ აუღია, ან არ მიუცია. ასეთებს სულელებს ეძახდნენ. ამ კომპლექსის გადალახვა, შეიძლება, ყველაზე მეტად უჭირს ინტელიგენტს, უჭირს იმ საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაც, სადაც ასეთი რამეები დაისჯება. ბევრს ეშინია, რომ წარსულისთვის, რბილად რომ ვთქვათ, უსაყვედურებენ. ამიტომ მათთვის უფრო ადვილია დღეს იძახონ: დუდაევმა შემოიკრიბა სულ სხვა ხალხი და ამიტომ მათთან ერთ კამპანიაში ჩვენ ვერ ვიქნებითო.

მოამზადა
სერგო რუხაძემ

# დაიჯესტი

## მექრთამეების სტატისტიკა

ერთ-ერთი „ჩრდილოვანი" ფირმის პრეზიდენტმა გააკეთა საინტერესო და, მისი რწმუნებით, სრულიად სწორი სტატისტიკა მექრთამეების შესახებ.ბეწვის დამზადება „ჩრდილოვანი" ეკონომიკის საქმოსნებს აძლევს 7 მილიონ შემოსავალს. აქედან 2 მილიონზე მეტი ქრთამებს ხმარდება. ეს რეკორდი სულაც არ გახლავთ. ადამიანები, რომლებიც ვიდეო და ტელეაპარატურის არალეგალური შეკეთებით არიან დაკავებულნი, სხვადასხვა ინსტანციების მოსაქრთამავად შემოსავლის 45-50 პროცენტს ხარჯავენ. ავტომანქანის შემკეთებლები კი — შემოსავლის ნახევარზე მეტს. საინტერესოა ისიც,თუ ვინ რამდენ ქრთამს ღებულობს. ამ პრეზიდენტის მტკიცებით, საფინანსო-საკონტროლო ორგანოებს მიაქვთ ქრთამის ერთი მეხუთედი, სახალხო დეპუტატებს — ცოტა ნაკლები — 18 პროცენტი, ხოლო ყველაზე „წესიერ" (რა თქმა უნდა, შედარებით) მექრთამეებად დასახელებულია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები — მათ წილად მოდის ქრთამის 16 პროცენტი.

## „ბოინგი" მოსკოვის თავზე ჩამოაგდეს

უცნაური ამბები ემართება ხშირად ჰუმანიტარული მიზნით გამოგზავნილ ტვირთს „სნგ-ს" ტერიტორიაზე. კერძოდ, ერთ-ერთი „ბოინგი", რომელსაც 100 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი მიჰქონდა ჰანოვერიდან ციმბირის დედაქალაქში,ნოვოსიბირსკში, მოსკოვში დასვეს. როგორც გაირკვა, თვითმფრინავი მოსკოვის აეროდრომზე დასვეს იმ მოტივით, რომ თითქოს ნოვოსიბირსკის აეროდრომზე „ბოინგის" მიღება არ შეუძლიათ, რაც, რა თქმა უნდა, წმინდა წყლის სიცრუეა.

მოსკოვში „ბოინგიდან" მთელი ტვირთი ჩამოტვირთეს და მხოლოდ ნაწილი გააგზავნეს დანიშნულებისამებრ, დანარჩენის გასაგზავნად კი თვითმფრინავები არ გვყოფნისო, უპასუხეს პირშიჩალაგამოვლებულ ნოვოსიბირსკელებს.

ეტყობა, შორს არაა ის დღე, როცა მოსკოვი ამისთანა ტვირთით მიმავალ თვითმფრინავებს არტილერიის ძალით დააკავებს.

## კონკურენტიც ამას ჰქვია

ამურის კავშირგაბმულობის მუშაკებს სერიოზული კონკურენტი გაუჩნდათ. ადგილობრივი გაზეთის „ამურის ცისკრის" ხელმომწერამდე მიტანა ითავეს ამ ქალაქის მოსწავლეებმა, რომლებმაც შექმნეს სამოსწავლო გაერთიანება „შრომა". გაზეთის გავრცელებისთვის კავშირგაბმულობის უზომო ტარიფებით შეწუხებულ რედაქციას ამჯერად მოუწევს ოთხჯერ ნაკლები საფასურის გადახდა და რაც მთავარია, გაზეთი ადრესატამდე დროულად მივა.

ყმაწვილების კეთილსინდისიერი მუშაობით მოხიბლულმა სხვა გაზეთების რედაქციებმაც მიმართეს მათ დახმარებისათვის.

იქნებ ჩვენთანაც ეთავა ვინმეს პრესის გავრცელების ალტერნატული სამსახურის შექმნა, რადგანაც, „ამურის ცისკრის" არ იყოს, არც ჩვენი გაზეთებია მაინცდამაინც კარგ დღეში კავშირგაბმულობის ორგანოებისა და „სოიუზპეჩატის" ადგილობრივი სააგენტოებისაგან, რომლებიც სულ უფრო მზარდი ტემპით ადიდებენ მომსახურების ტარიფებს და ხშირად იმას არც კი დაგიდევენ, მოვა დროულად (ან საერთოდ თუ მივა) პრესა მკითხველამდე.

## კოლმეურნეობამ საკუთარი „ომონი" შექმნა

ამურის ოლქის სოფელ ჩერნიგოვკაში კოლმეურნეობის გამგეობისა და სოფლის მცხოვრებთა ინიციატივით შეიქმნა „ომონი", რომელიც იარაღით ხელში დაიცავს ამ კოლმეურნეობასა და მის წევრთა საკუთრებას. სოფლის მცხოვრებნი და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები იძულებულნი გახდნენ ამ ღონისძიებისთვის მიემართათ იმის გამო, რომ ბოლო დროს გახშირდა სოფლელებისა და კოლმეურნეობის კუთვნილი საქონლის, მანქანა-იარაღების და სხვა ნივთების ქურდობა, შეიარაღებული თავდასხმები ფერმებზე, ავტოფარეხებზე და ა.შ.

ისე, კაცმა რომ თქვას, დროა ჩვენც ვიფიქროთ ადგილობრივი „ომონების" შექმნაზე, რადგანაც, როძალებულ ავაზაკებთან მარტო მილიცია ვერაფერს ხდება.

## ყაჩაღობის ახალი სახეობა

ამ ბოლო დროს რუსეთის ქალაქებში ყაჩაღობისა და ბანდიტობის ახალი სახეობა გაჩნდა. საქმე იმაშია, რომ გვიან ღამით, როცა ქუჩებში ხალხმრავლობა არაა, ბანდიტები აჩერებენ გზად მიმავალ შეგვიანებულ მგზავრს. ამ შემთხვევაში ქალიშვილს, თავიდან აგლეჯენ ბეწვის ქუდს და, როგორ ფიქრობთ, რას აკეთებენ? ერთ-ერთი მათგანი ნაწნავებს უზომავს გოგონას და თუ აღმოჩნდა, რომ ნაწნავი 16 სანტიმეტრზე მეტია სიგ[illegible], გახარებულები ძირამდე აჭრიან ქალიშვილს ნაწნავს, მ[illegible]დავად ამ უკანასკნელის ცრ[illegible]ი თხოვნა-ვედრებისა და ღამის სიბნელეში უკვალოდ უჩ[illegible]დებიან.

ქალიშვილს [illegible] ან მთელი ექვსი თვე, სანამ თმა არ წამოიზრდება, ქუდით უნდა იაროს, ან უნდა იყიდოს პარიკი, რომელიც ძალიან ძვირია და რომელიც, არა გამორიცხული, საკუთარი თმისაგან დამზადებულიც აღმოჩნდეს.

ყაჩაღობის ეს ახალი სახეობა სხვა მხრივ უსაფრთხოა: მსხვერპლად მხოლოდ საკუთარი თმა და სილამაზე ეწირება!

## მილიონერებს სცემენ...

ვორონეჟში თავისუფალმა ფასებმა მოსახლეობა დაჰყო „თეთრებად" და „წითლებად".

უკანასკნელ ხანს ქალაქში ცალკეულ ადამიანთა ჯგუფები უთვალთვალებენ ადამიანებს, რომლებიც მაღაზიაში ყიდულობენ 170 მანეთად ღირებულ კარაქს, აგრეთვე სხვა ძვირადღირებულ პროდუქტებს, შემდეგ მოიხელთებენ მათ მიფარებულ ადგილას და უმოწყალოდ სცემენ.

როგორც ამბობენ, ამით ადამიანთა ეს ჯგუფი ცდილობს სოციალური სამართლიანობის აღდგენას, თუმცა, ეტყობა ისინი ძალიან მიამიტები არიან, თუ ფიქრობენ, რომ ამ გზით გააუმჯობესებენ ჩვენს „გაფუჭებულ" ცხოვრებას.

ასე, რომ მილიონერებო, გაფრთხილდით!!!

მოამზადა
სერგო ჯანაშიამ


## გეძლევათ შესაძლებლობა დააფუძნოთ თქვენი ბანკი!

გეძლევათ შესაძლებლობა დააფუძნოთ საქართველოში ყველაზე დიდი და ყველაზე დამოუკიდებელი უნივერსალური სააქციო ბანკი

### კერძობანკი

ბანკის დაფუძნების შესაძლებლობა ეძლევათ მხოლოდ მოქალაქეებსა და კერძო სექტორის იურიდიულ პირებს.

დამფუძნებლისათვის ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 50 ათასი მანეთია. დასაშვებია რამდენიმე მოქალაქე ან იურიდიული პირი შეამხანაგდეს და შეიძინოს ბანკის დამფუძნებლის აქცია.

წინასწარი გაანგარიშებით, კერძობანკის დამფუძნებელი აქციონერის დივიდენდი (მოგება) ყველაზე მაღალი იქნება, რადგან მოსალოდნელია მისმა სიდიდემ მიაღწიოს დამფუძნებლის მიერ შეძენილი აქციების საერთო ღირებულების არანაკლებ 52 პროცენტს, რომლის ნაწილი გაცემული იქნება კონვერტირებული ვალუტით.

ბანკის დამფუძნებელს აქციის შესაძენად უკიდურესობამდე გაუფასურებულ მანეთებში თანხის შეტანა (გადმორიცხვა) შეუძლია როგორც ნაღდ ისე უნაღდო ანგარიშსწორებით, მათ შორის: მოქალაქეებს — შემნახველი ბანკის ნებისმიერი რაიონული განყოფილების მეშვეობით; იურიდიულ პირებს — შესაბამისი სპეცბანკის რაიონული განყოფილების, კომერციული ბანკის მეშვეობით.

მოქალაქეების ჩეკები, სერტიფიკატები, სახელმწიფოს მიერ დარიცხული კომპენსაციის თანხის წიგნაკები შეუძლიათ ჩააბარონ შემნახველი ბანკის რაიონულ განყოფილებაში და იქიდან გადმორიცხონ კერძობანკის ანგარიშზე თანხა.

თუ გადაწყვეტთ, გახდეთ კერძობანკის დამფუძნებელი, შესაბამისი თანხა თქვენს სახელზე შეგიძლიათ ჩარიცხოთ (შეიტანოთ) კერძობანკის ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტებით:

საბანკო რეკვიზიტებია: მფო 521921, კერძობანკის დროებითი ანგარიშსწორების ანგარიში № 200609114 „დამფუძნებლის მიერ კერძობანკის აქციის შეძენის მიზნით".

კერძობანკის შექმნის საინიციატივო ჯგუფის სრულ შემადგენლობასთან შეხვედრის შესაძლებლობა გექნებათ ყოველ ხუთშაბათს 15 სთ-ზე კეძობანკის შენობაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი — 86, სანდრო ეულის ქ. №1 (ვაჟა-ფშაველას გამზ. ბოლოს). საკონტაქტო ტელეფონებია: 31-17-85 (სადღელამისო, 93-49-66).

გირჩევთ, იჩქაროთ, რადგან ბანკის საწესდებო კაპიტალის ოდენობა და მისი განაღდების დრო შეზღუდულია.

**380008, ქ. თბილისი, ჯორჯიაშვილის ქ. № 14 (სასტუმრო „თბილისთან") „საქმრეწვმშენბანკის" მეთაური ბანკი, II სართული, ოთახი № 217, ტელ: 93-49-66.**

საინიციატივო ჯგუფი




ნახ. ი. აბშიძისა

## ჩვენი მილოცვა

* * *

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ვახტანგ კომახიძეს ვულოცავთ მეხუთე შვილის, ივანეს დაბადებას.

ვულოცავთ დაბადების დღეს გამომცემლობა „სამშობლოს" თანამშრომელს ციცო ჯიშკარიანს.

* * *


ინდექსი 66447

ფასი 2 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ ბრიგალაშვილი